საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# საკლუბო ლიცენზირების
# დებულებები

## უეფას საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის

SGS APPROVED
Club Licensing Quality
Standard V 2.0
www.uefa.com

2014წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


პრეამბულა ........................................................................ 5

I. ზოგადი დებულებები ........................................................................ 5

მუხლი 1 - მოქმედების სფერო ........................................................................ 5

მუხლი 2 - მიზნები ........................................................................ 6

მუხლი 3 - ტერმინთა ჩამონათვალი ........................................................................ 7

II. ლიცენზიარი ........................................................................ 15

მუხლი 4 - ლიცენზიარი ........................................................................ 15

მუხლი 5 - საკლუბო ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია (ლმა) ........................................................................ 15

მუხლი 6 - გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ........................................................................ 17

მუხლი 7 - სანქციების ჩამონათვალი ........................................................................ 23

მუხლი 8 - ძირითადი პროცესი ........................................................................ 24

მუხლი 9 - შეფასების პროცედურები ........................................................................ 24

მუხლი 10 - თანასწორი მიდგომა და კონფიდენციალობა ........................................................................ 24

III. ლიცენზიის მაძიებელი და უეფა-ს ლიცენზია ........................................................................ 26

მუხლი 11 - ლიცენზიის მაძიებლის განსაზღვრება ........................................................................ 26

მუხლი 12 - ლიცენზიის მაძიებლის ძირითადი პასუხისმგებლობები ........................................................................ 26

მუხლი 13 - უეფა-ს ლიცენზია ........................................................................ 27

მუხლი 14 - უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის საგანგებო ნებართვა ........................................................................ 28

IV. საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმები ........................................................................ 29

მუხლი 15 - ზოგადი ინფორმაცია ........................................................................ 29

სპორტული კრიტერიუმები ........................................ 29

მუხლი 16 - ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების დამტკიცებული პროგრამა ........................................ 29

მუხლი 17 - ახალგაზრდული გუნდები ........................................ 30

მუხლი 18 - ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება ........................................ 31

მუხლი 19 - ფეხბურთელების რეგისტრაცია / კლუბის გაწვრთნილი ფეხბურთელები ........................................ 31

მუხლი 20 - წერილობითი კონტრაქტი პროფესიონალ ფეხბურთელებთან ........................................ 32

მუხლი 21 - მონაწილეობა სემინარებში ........................................ 32

მუხლი 22 - რასობრივი თანასწორობის პოლიტიკა ........................................ 32

ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები ........................................ 32

მუხლი 23 - სტადიონი უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებებისთვის ........................................ 32

მუხლი 24 - სავარჯიშო ობიექტების არსებობა ........................................ 33

მუხლი 25 - სავარჯიშო ობიექტები – მინიმალური ინფრასტრუქტურა ........................................ 34

საკადრო-ადმინისტრაციული კრიტერიუმები ........................................ 34

მუხლი 26 - კლუბის ოფისი ........................................ 34

მუხლი 27 - გენერალური დირექტორი ........................................ 34

მუხლი 28 - კლუბის სამდივნო ........................................ 35

მუხლი 29 - ფინანსისტი ........................................ 35

მუხლი 30 - საზოგადოებასთან ურთიერთობა ........................................ 35

მუხლი 31 - ექიმი ........................................ 36

მუხლი 32 - ფიზიოთერაპევტი ........................................ 36

მუხლი 33 - უსაფრთხოების ოფიცერი ........................................ 36

მუხლი 34 - განმკარგულებლები და უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა ....................37
მუხლი 35 - გულშემატკივრებთან მეკავშირე ....................37
მუხლი 36 - ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი....................37
მუხლი 37 - ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე......38
მუხლი 38 - ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი ....................38
მუხლი 39 - ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელები....................39
მუხლი 40 - დამატებითი ტექნიკური პერსონალი....................39
მუხლი 41 - ზოგადი მოთხოვნები 36-40 მუხლებთან დაკავშირებით.40
მუხლი 42 - უფლებები და მოვალეობები....................40
მუხლი 43 - სეზონის განმავლობაში შეცვლის ვალდებულება ..........40
სამართლებრივი კრიტერიუმები....................41
მუხლი 44 - იურიდიული დეკლარაციები....................41
მუხლი 45 - მინიმალური სამართლებრივი ინფორმაცია....................42
მუხლი 46 - სამართლებრივი ჯგუფის სტრუქტურა და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე....................43
ფინანსური კრიტერიუმები....................43
მუხლი 47 - ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეული და ანგარიშგების ფარგლები....................43
მუხლი 48 - წლიური ფინანსური ანგარიშგება ....................44
მუხლი 49 - ტრანსფერების შედეგად წარმოქმნილი ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა ფეხბურთის კლუბების მიმართ ....................46
მუხლი 50 - ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა თანამშრომელთა და სავადასახადო ორგანოების მიმართ47

მუხლი 51 - *წერილობითი მიმართვა ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე* ........................................ **49**

მუხლი 52 - *მოსალოდნელი (დაგეგმილი) ფინანსური ინფორმაცია*.... **51**

V. დასკვნითი დებულებები ................................................ **53**

მუხლი 53 - *ოფიციალური ტექსტი და კორესპონდენციის ენა* .......... **53**

მუხლი 54 - *დანართები* ........................................................................ **53**

მუხლი 55 - *შესაბამისობის შემოწმებები* ............................................ **53**

მუხლი 56 - *განხორციელების მოთხოვნები* ....................................... **53**

მუხლი 57 - *მიღება, ანულირება, ცვლილებების შეტანა და ძალაში შესვლა* ........................................................................................ **54**

I დანართი: სანქციების კატალოგი (მე-7 მუხლი) ....................... 55

II დანართი: ძირითადი პროცესი .................................................. 56

III დანართი: უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის საკლუბო ლიცენზირების სისტემის რიგგარეშე განაცხადი ..................... 62

IV დანართი: აუდიტორის არჩევა და აუდიტორის მიერ ჩასატარებელი პროცედურები..................................................................... 64

V დანართი: მინიმალური მოთხოვნები ინფორმაციის წარდგენისადმი .......................................................................... 66

VI დანართი: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი... 77

VII დანართი: „ვადაგადაცილებული ვალდებულების'' ცნება ........... 83

VIII დანართი: ლიცენზიარის მიერ ჩასატარებელი პროცედურები ფინანსური კრიტერიუმებისა და მოთხოვნებისადმი .................................. 84

# პრეამბულა

სფფ-ის წესდების 69-ე მუხლისა და უეფა-ს საკლუბო ლიცენზირების და ფინანსური ფეარ-პლეის დებულებების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი დებულებები:

# I. ზოგადი დებულებები

## მუხლი 1 - *მოქმედების სფერო*

1. უმაღლესი ლიგის ფეხბურთის კლუბებისთვის სავალდებულოა უეფა-ს ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა, რაც ნიშნავს, რომ ისინი შეფასდებიან, როგორც უეფა-ს ლიცენზიის მაძიებლები. წინამდებარე დებულებები მოქმედებს უეფა-ს ეგიდით გასამართი საკლუბო შეჯიბრებებისთვის (შემდგომში: უეფა-ს საკლუბო ტურნირები), რომელთა დებულებებშიც არის შესაბამისი მითითებები და სფფ-ის მიერ გაცემული უეფა-ს ლიცენზია კლუბებს აძლევს უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლებას.

2. უეფა-ს ლიცენზიის მიღება არაა სავალდებულო ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად (ეს წარმოადგენს ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესრულების საგანს), მაგრამ უმაღლესი ლიგის კლუბების მიერ წინამდებარე დებულებების დარღვევისთვის, მათ მიმართ გატარდება შესაბამისი სანქციები.

3. ქვედა ლიგების კლუბებს ასევე აქვთ უფლება გააკეთონ განაცხადი უეფა-ს ლიცენზიაზე.

4. წინამდებარე დებულებები არეგულირებენ უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემაში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს და, კერძოდ, განსაზღვრავენ:

   ა) სფფ-ის მიერ შესასრულებელ მინიმალურ მოთხოვნებს, რათა მან იმოქმედოს, როგორც თავისი კლუბების ლიცენზიარმა ორგანომ; აგრეთვე, ლიცენზიარის მიერ საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმების შეფასების პროცედურებს (II ნაწილი);
   ბ) ლიცენზიის მაძიებელს და უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზიას (უეფა-ს ლიცენზია, III ნაწილი);

გ) მინიმალურ სპორტულ, ინფრასტრუქტურულ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ფინანსურ კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა შეასრულონ ფეხბურთის კლუბებმა, რათა **სფფ**-გან მიიღონ **უეფა**-ს ლიცენზია, რაც შეადგენს **უეფა**-ს საკლუბო შეჯიბრებებზე დაშვების პროცედურის ნაწილს (IV ნაწილი).

## მუხლი 2 - *მიზნები*

წინამდებარე დებულებების მიზანია:

ა) ყველა საფეხბურთო ასპექტის სტანდარტის შემდგომი ხელშეწყობა და მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მასშტაბით; აგრეთვე, თითოეულ კლუბში ახალგაზრდა ფეხბურთელების ვარჯიშისა და მათზე ზრუნვის მუდმივი პრიორიტეტულობა;

ბ) კლუბებში მართვისა და ორგანიზაციის სათანადო დონის უზრუნველყოფა;

გ) კლუბის სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტაცია, ფეხბურთელთათვის, მაყურებლებისა და მას-მედიისთვის სათანადო, კარგად აღჭურვილი და უსაფრთხო სტადიონების უზრუნველსაყოფად;

დ) კლუბების ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მათი გამჭვირვალობისა და სანდოობის გაზრდით;

ე) კრედიტორების დაცვისადმი სათანადო მნიშვნელობის მინიჭება და იმის უზრუნველყოფა, რომ კლუბები პუნქტუალურად აგვარებენ საკუთარ ვალდებულებებს ფეხბურთელების, საგადასახადო ორგანოებისა და თანამშრომლების მიმართ;

ვ) სეზონის განმავლობაში **უეფა**-ს საკლუბო შეჯიბრებების და ეროვნული ჩემპიონატის მთლიანობის დაცვა და მათი შეუფერხებლად ჩატარება;

ზ) ფეხბურთის კლუბებისთვის სპორტულ, ინსრასტრუქტურულ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ფინანსურ კრიტეტიუმებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების განვითარება საქართველოს მაშტაბით.

## მუხლი 3 - *ტერმინთა ჩამონათვალი*

1. წინამდებარე დებულებებისთვის ტერმინები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| ტერმინი | განმარტება |
|---|---|
| **აგენტი** | ნეიტრალური პირი, რომელიც გადასახადის საფასურად წარუდგენს კლუბს ფეხბურთელებს, შრომით ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად ან ერთმანეთს წარუდგენს ორ კლუბს სატრანსფერო ხელშეკრულების გასაფორმებლად. |
| **ადმინისტრაციის პროცედურა** | კანონების თუ დებულებების შესაბამისი პროცედურა, რომლის მიზანს წარმოადგენს გადაარჩინოს ბანკროტი სამეურნეო ერთეულები და მისცეს მათ საშუალება, გააგრძელონ საკუთარი საქმიანობა. ეს პროცესი, რომელიც არის სამეურნეო ერთეულის ლიკვიდირების ალტერნატივა, ხშირად ცნობილია ადმინიტრირებაში შესვლის სახელწოდებით. ადმინისტრირებაში შესული სამეურნეო ერთეულის ყოველდღიური საქმიანობის მართვა შეიძლება ხორციელდებოდეს ადმინისტრატორის მიერ, კრედიტორების სახელით. |
| **ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულ(ებ)ი** | რეგისტრირებული წევრი ან სამეურნეო ერთეულების ჯგუფი ან სამეურნეო ერთეულების სხვა კომბინაცია, რომელმაც ლიცენზიარს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია საკლუბო ლიცენზირების მიზნებისთვის. |
| **არბიტრაჟი** | წინამდებარე დებულებაში ტერმინი არბიტრაჟი აღნიშნავს **სფფ**-ის წესდების შესაბამის მუხლებში განსაზღვრულ დავების განმხილველ დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოს (მაგ., არბიტრაჟი, ტრიბუნალი ან სხვ.). |

**არსებითობა**

საანგარიშგებო მუხლის ან ინფორმაციის გამოტოვება ან არასწორი წარდგენა არსებითია, თუ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას ახდენენ ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მომხმარებლის მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული მუხლის ან არასწორად წარდგენილი ელემენტის სიდიდესა და ბუნებაზე, გარემო პირობების ან კონტექსტის გათვალისწინებით. არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა იყოს ელემენტების ან ინფორმაციის სიდიდე ან ბუნება, ან ორივე ერთად.

**ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული პრაქტიკა**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნების მომზადების მეთოდიკა, რომლის გამოყენებაც მოეთხოვებათ სამეურნეო ერთეულებს საქართველოში.

**დამატებითი ინფორმაცია**

ფინანური ინფორმაცია, რომელიც, წლიური ფინანსური ანგარიშგების დამატებით წარედგინება ლიცენზიარს, თუკი წლიური ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებისა და ინფორმაციის გახსნის მინიმალურ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვისა და სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე. ფინანსური ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ წყაროებს. სადაც შესაძლებელია, გაშიფრული დამატებითი ინფორმაცია უნდა ედრებოდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების გარკვეულ ინფორმაციას ან შეესაბამებოდეს მას.

| | |
|---|---|
| **დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მოვლენა ან პირობა** | ეკონომიკური მოვლენა ან პირობა მიიჩნევა არსებითად ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში და საჭიროა ანგარიშმგებელი სამეურნეო ერთეულის საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და წმინდა აქტივების შესახებ ინფორმაციის სხვა (უფრო არასასურველი) სახით წარდგენა, თუ მას ადგილი ჰქონდა გასული საანგარიშგებო ფინანსური წლის პერიოდში. |
| **ისტორიული ფინანსური ინფორმაცია** | ინფორმაცია კლუბის ფინანსური საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ საანგარიშო პერიოდში, რომელიც მთავრდება უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებების დაწყების წლის წინა წელს. |
| **ლიცენზიარი** | ორგანო, რომელიც ახორციელებს საკლუბო ლიცენზირებას უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის და გასცემს უეფა-ს ლიცენზიას. საქართველოში ლიცენზიარი არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) |
| **ლიცენზიარისთვის დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადა** | თარიღი, რა დროისთვისაც თითოეული ლიცენზიარი მოითხოვს ლიცენზიის მაძიებლებისგან მათ უეფა-ს სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის წარდგენას. |
| **ლიცენზიატი** | ლიცენზიის მაძიებელი, რომელზეც ლიცენზიარმა უკვე გასცა უეფა-ს ლიცენზია. |
| **ლიცენზიის მაძიებელი** | იურიდიული პირი, რომელიც მხოლოდ თვითონ არის სრულად პასუხისმგებელი ფეხბურთის გუნდის ეროვნულ და საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე და წარადგენს განაცხადს უეფა-ს ლიცენზიის მიღებაზე. |
| **მინიმალური კრიტერიუმები** | ლიცენზიის მაძიებლის მიერ უეფა-ს ლიცენზიის მისაღებად საჭირო კრიტერიუმები. |

| | |
|---|---|
| **მნიშვნელოვანი ცვლილება** | მოვლენა, რომელიც ითვლება არსებითად ლიცენზიარისთვის ადრე წარდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებაში და მას ადგილი რომ ჰქონოდა სალიცენზიო დოკუმენტაციის ლიცენზიარისთვის წარდგენამდე, საჭირო იქნებოდა მათი სხვაგვარად მომზადება და წარდგენა. |
| **მონაწილე მხარეები** | უეფა-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემაში ჩართული ნებისმიერი მხარე, უეფა-ს, ლიცენზიარის, ლიცენზიის მაძიებლის / ლიცენზიატის და მათი სახელით მონაწილე ნებისმიერი ინდივიდუალური პირის ჩათვლით. |
| **მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია** | ინფორმაცია კლუბის ფინანსური საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ საანგარიშო პერიოდში, რომელიც მთავრდება იმ წელს, რომელიც მოსდევს უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებების დაწყების წელს. |
| **ოფიციალური საანგარიშგებო დღე** | ანგარიშვალდებული ერთეულის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგების შედგენის საბაზისო თარიღი. საქართველოს ლიცენზიის მაძიებლებისთვის ოფიციალური საანგარიშგებო დღეა 31 დეკემბერი. |
| **საანგარიშო პერიოდი** | ფინანსური ანგარიშგების პერიოდი, რომელიც მთავრდება ოფიციალურ საანგარიშგებო დღეს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სრული წელი. |

| | |
|---|---|
| **საერთაშორისო სტანდარტები:**<br>• **აუდიტის (ISA)**<br>• **მიმოხილვის გარიგებების (ISRE)**<br>• **დაკავშირებული მომსახურების (ISRS)** | აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAASB) გამოსცემს სტანდარტებს:<br>• აუდიტისთვის (ISA), რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტისას.<br>• მიმოხილვის გარიგებებისთვის (ISRE), რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვისას.<br>• დაკავშირებული მომსახურებისთვის (ISRS), რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი გარიგებებისთვის, რომელიც ითვალისწინებს კომპილაციას და ინფორმაციის მიმართ შეთანხმებული პროცედურების გამოყენებას.<br>IAASB-ს, ISA-ს, ISRE-ს და ISRS-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. www.ifac.org. |
| **საკლირინგო სისტემა** | მოთხოვნისა და ვალდებულების ურთიერთჩათვლაზე დაფუძნებული საშინაო და საერთაშორისო უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის. |
| **საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმები** | ხუთ კატეგორიად დაყოფილი მოთხოვნები (სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური), რომლებიც უნდა შეასრულოს ლიცენზიის მაძიებელმა, რათა მიიღოს ᲣᲔᲤᲐ-ს ლიცენზია. |
| **საკლუბო ლიცენზირების ხარისხის სტანდარტი** | დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა შეასრულოს ლიცენზიარმა, რათა მართოს საკლუბო ლიცენზირების სისტემა. |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო გადაწყვეტილებების სია** | სია, რომელსაც ლიცენზიარი **ЅᲔᲤᲐ**-ს მიერ შემუშავებული და დაგზავნილი ფორმით უგზავნის **ЅᲔᲤᲐ**-ს და რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს ინფორმაციას ლიცენზიის იმ მაძიებელთა შესახებ, რომლებმაც გაიარეს ლიცენზირების პროცესი და მიიღეს **ЅᲔᲤᲐ**-ს ლიცენზია ან უარი ეთქვათ გადაწყვეტილების მიმღები ეროვნული ორგანოებისგან. |
| **სალიცენზიო სეზონი** | **ЅᲔᲤᲐ**-ს სეზონი, რომელზეც ლიცენზიის მაძიებელმა გააკეთა განაცხადი/მიიღო **ЅᲔᲤᲐ**-ს ლიცენზია. იგი იწყება ლიცენზიარის მიერ **ЅᲔᲤᲐ**-თვის სალიცენზიო გადაწყვეტილებების წარდგენის საბოლოო ვადის შემდეგ და გრძელდება მომავალი წლის ანალოგიურ საბოლოო ვადამდე. |
| **საწვრთნელი ობიექტები** | ადგილ(ებ)ი, სადაც კლუბის რეგისტრირებული ფეხბურთელები რეგულარულად გადიან წვრთნას და/ან ხორციელდება ახალგაზრდული განვითარების პროგრამა. |
| **სტადიონი** | მატჩის ჩატარების ადგილი, რომელიც მოიცავს ყველა მიმდებარე ტერიტორიასა თუ სათავსოს (მაგ., ოფისები, სტუმართა მისაღები ზონები, პრეს-ცენტრი, აკრედიტაციის ცენტრი) და არა მხოლოდ მათ. |
| **ЅᲔᲤᲐ-ს ლიცენზია** | **ՏᲤᲤ**-ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა მინიმალურ მოთხოვნას, რაც შეადგენს **ЅᲔᲤᲐ**-ს საკლუბო შეჯიბრებებში დაშვების პროცედურის ნაწილს. |

| | |
|---|---|
| **ფეხბურთელის რეგისტრაციის მიღების დანახარჯები** | ფეხბურთელის რეგისტრაციის მისაღებად მესამე მხარეთათვის გადახდილი თანხები, კლუბში პროფესიონალური მომზადებისთვის გაწეული და/ან სხვა დანახარჯების გამოკლებით, რომლებიც მოიცავს:<br><br>ა) სატრანსფერო გადასახადს (წვრთნის კომპენსაციისა და სოლიდარობის გადასახადის ჩათვლით) ფეხბურთელის რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად; და<br><br>ბ) ფეხბურთელის რეგისტრაციის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარჯებს (ტრანსფერის საკომისიო მოსაკრებლის და აგენტებისთვის გადასახადის ჩათვლით). |
| **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)** | ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც მოიცავს:<br><br>• ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;<br>• ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს; და<br>• ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (IFRIC) ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ გამოცემულ ინტერპრეტაციებს. |

| | |
|---|---|
| **შეთანხმებული პროცედურები** | შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებაში აუდიტორს ევალება ისეთი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რომელზეც შეთანხმდნენ აუდიტორი, სამეურნეო ერთეული და რომელიმე მესამე მხარე. იგი, აგრეთვე, ადგენს დასკვნას ფაქტიურ შედეგებზე. აღნიშნული ანგარიშის მიმღებმა უნდა გამოიტანოს საკუთარი დასკვნები აუდიტორის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე. ფაქტიურ შედეგებზე აუდიტორის დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმ მხარეებისთვის, რომლებიც შეთანხმდნენ მოცემული პროცედურების ჩატარებაზე, რადგან მათ, ვინც არ იცის პროცედურების მიზანი, შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ შედეგებს. |
| **ჯგუფი** | სათავო და მისი ყველა შვილობილი კომპანია. სათავო არის სამეურნეო ერთეული, რომელსაც გააჩნია ერთი ან მეტი შვილობილი კომპანია. შვილობილი კომპანია არის სამეურნეო ერთეული, მათ შორის არაიურიდიული პირიც, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა ამხანაგობა და რომელსაც აკონტროლებს სხვა სამეურნეო ერთეული (ცნობილი, როგორც სათავო კომპანია). |

2. წინამდებარე დებულებების ინგლისურ ვერსიაში მამრობითი სქესის ფორმების გამოყენება თანაბრად ეხება მდედრობით სქესსაც.

# II. ლიცენზიარი

## მუხლი 4 - *ლიცენზიარი*

1. ლიცენზიარი არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) და ის მართავს ლიცენზირების სისტემას **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის.

2. ლიცენზიარმა, კერძოდ:

   ა) ჩამოაყალიბა საკლუბო ლიცენზირების და მონიტორინგის სათანადო ადმინისტრაცია, მე-5 მუხლის შესაბამისად;
   ბ) ჩამოაყალიბა გადაწყვეტილების მიმღებს 2 ორგანო, მე-6 მუხლის შესაბამისად;
   გ) დაადგინა სანქციების ჩამონათვალი, მე-7 მუხლის შესაბამისად;
   დ) განსაზღვრა ძირითადი პროცესი, მე-8 მუხლის შესაბამისად;

   ლიცენზიარი:
   ე) ამოწმებს კლუბის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, განიხილავს მათ შესაბამისობას და განსაზღვრავს, შესრულდა თუ არა ყველა კრიტერიუმი და რა დამატებითი დოკუმენტაციაა საჭირო, მე-9 მუხლის შესაბამისად;
   ვ) უზრუნველყოფს თანასწორ მიდგომას **უეფა**-ს ლიცენზიის ყველა მაძიებლისადმი და აძლევს კლუბებს სრული კონფიდენციალობის გარანტიას ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი წარმოადგენს ლიცენზირების პროცესის დროს, მე-10 მუხლის შესაბამისად;
   ზ) განსაზღვრავს, გაიცეს თუ არა **უეფა**-ს ლიცენზია.

## მუხლი 5 - *საკლუბო ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია (ლმა)*

1. **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების და მონიტორინგის ადმინისტრაცია (**ლმა**) შედგება ლიცენზირების განყოფილებისა და ექსპერტთა პანელისგან. **სფფ**-ის გენერალური მდივანი პასუხისმგებელია საქართველოში საკლუბო ლიცენზირების სისტემის განხორციელებაზე. **ლმა** ფუნქციონირებს **სფფ**-ის შტაბ-ბინის ცალკე ოფისში წინამდებარე დებულებებისა და **უეფა**-ს საკლუბო ლიცენზირების ხარისხის სტანდარტის შესაბამისად.

2. **სფფ**-ის ლიცენზირების განყოფილება შედგება შემდეგი პერსონალისგან:

- განყოფილების უფროსი, რომელიც მოქმედებს ლიცენზირების მენეჯერად (**ლმ**), როგორც ეს განსაზღვრულია **უეფა**-ს საკლუბო ლიცენზირების ხარისხის სტანდარტში;
- ლიცენზირების მენეჯერის 1 მოადგილე;
- ლიცენზირების მენეჯერის 1 თანაშემწე.

**სფფ**-ის ძირითადი ფინანსური ექსპერტი (იხ. მე-3 პუნქტი ქვემოთ) ეხმარება ლიცენზირების მენეჯერს საკლუბო ლიცენზირების ფინანსურ საკითხებში.

3. ექსპერტთა პანელი შედგება **სფფ**-ის კომპეტენტური თანამშრომლების ან მოწვეული კვალიფიციური კადრებისგან – მინიმუმ 1 ექსპერტი თითოეულ კრიტერიუმში (სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ფინანსური). ექსპერტები პასუხისმგებელნი არიან ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი სალიცენზიო დოკუმენტაციის შემოწმებაზე, ასევე ლიცენზირების განყოფილების სხვადასხვა დავალების შესრულებაზე. სამართლებრივ ექსპერტ(ებ)ს უნდა გააჩნდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებული იურისტის დიპლომი, ხოლო ფინანსურ ექსპერტ(ებ)ს – საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და/ან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ აღიარებული დიპლომი საბუღალტრო/სააუდიტო საქმეში.

4. **ლმა**-ს წევრები ინიშნებიან **სფფ**-ის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. ლიცენზირების განყოფილების წევრები შეიძლება დაინიშნონ ექსპერტებად. ამას გარდა, **სფფ** ნიშნავს ექსპერტების შემცვლელებს, რომლებიც ასრულებენ ექსპერტის ფუნქციებს, მათი არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, სწავლა, ავადმყოფობა და ა.შ.).

5. **ლმა**-ს ფუნქციებია:

ა) **უეფა**-ს საკლუბო ტურირებში მონაწილეობისთვის საკლუბო ლიცენზირების სისტემის მომზადება, განხორციელება და შემდგომი განვითარება;
ბ) გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
გ) ლიცენზიის მაძიებლების/ლიცენზიატების დახმარება, რჩევების მიცემა და მათი საქმიანობის მონიტორინგი სეზონის განმავლობაში;
დ) **უეფა**-ს ინფორმირება ყველა მოვლენაზე, რომელსაც ადგილი ექნება სალიცენზიო გადაწყვეტილებების შემდეგ და არსებითია ლიცენზიარისთვის მანამდე წარდგენილ ინფორმაციასთან მიმართებით;

ე) **უეფა**-სთან და **უეფა**-ს წევრი სხვა ეროვნული ასოციაციების საკლუბო ლიცენზირების და მონიტორინგის ადმინისტრაციებთან საკონტაქტო რგოლის ფუნქციების შესრულება და გამოცდილების გაზიარება.

6. **ლმა**-ს წევრებმა უნდა დაიცვან **ფიფა**-ს და **სფფ**-ის ეთიკის კოდექსი.

## მუხლი 6 - *გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები*

1. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებია ლიცენზირების კომიტეტი (**ლკ**), რომელიც მოქმედებს როგორც პირველი ინსტანციის ორგანო და ლიცენზირების აპელაციის ორგანო (**ლაო**), რომლებიც უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.

2. ლიცენზირების კომიტეტი, ლიცენზიარის მიერ დადგენილ საბოლოო ვადებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მაძიებლისთვის **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემის თაობაზე, აგრეთვე **უეფა**-ს ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ, ასევე ადგენენ 15(2) პარაგრაფში მითითებული სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის ფაქტს, გარდა 43-ე მუხლისა, რომლის დარღვევის ფაქტს ადგენენ **სფფ**-ის სადისიცპლინო ორგანოები (სადისციპლინო კომიტეტი და სააპელაციო კომიტეტი).

3. ლიცენზირების აპელაციის ორგანო იღებს გადაწყვეტილებებს წერილობით შემოტანილ საჩივრებზე და გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემის ან ჩამორთმევის შესახებ, ასევე 15(2) პარაგრაფში მითითებული სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის შესახებ, გარდა 43-ე მუხლისა, რომლის დარღვევის ფაქტს ადგენენ **სფფ**-ის სადისიცპლინო ორგანოები (სადისციპლინო კომიტეტი და სააპელაციო კომიტეტი).

4. აპელაციის გაკეთება შეუძლია მხოლოდ:

ა) ლიცენზიის მაძიებელს, რომელსაც **ლკ**-მ უარი უთხრა ლიცენზიის გაცემაზე; ან
ბ) ლიცენზიატს, რომელსაც **ლკ**-მ ჩამოართვა **უეფა**-ს ლიცენზია; ან
გ) ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს, რომელსაც **ლკ**-მ დაუდგინა წინამდებარე დებულებების მუხ. 15 განსაზღვრული სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევა; ან
დ) ლიცენზიარს, ლიცენზირების მენეჯერის სახით.

**ლკ**-ის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხოლოდ **ლაო**-ში, ამ ორგანოსთვის პირდაპირი მიმართვის გზით. **ლაო** აფასებს საჩივარს და ადგენს მის სამართლიანობას შინაარსსა და ფორმასთან მიმართებაში, ქვემოთ 6.9.ნ) პარაგრაფის შესაბამისად.

5. ლიცენზირების აპელაციის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილების და ყველა იმ დასაშვები დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე, რომელსაც აპელანტი წარმოადგენს წერილობით საჩივართან ერთად, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ საბოლოო ვადაში.

აკრძალულია აპელაციის განხილვა განმეორებითი მოსმენით. აპელაციის ორგანო უფლებამოსილია მხოლოდ შეაფასოს მხოლოდ ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც ამ უკანასკნელმა მიიღო იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენილ იქნა ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ საბოლოო ვადებში.

6. გადაწყვეტილების მიმღები თითოეული ორგანო შედგება 5 წევრისგან: თავმჯდომარე, მოადგილე და 3 წევრი. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრები ინიშნებიან **სფფ**-ის აღმასკომის მიერ 2 წლის ვადით და ისინი/მათ ამასთან:

ა) საკუთარი მოვალეობების შესრულებისას უნდა მოქმედებდნენ სამართლიანად, მიუკერძოებლად;
ბ) ყველა შემთხვევაში უნდა შეიკავონ თავი ხმის მიცემისგან, თუკი არსებობს რაიმე ეჭვი მათ დამოუკიდებლობაზე ლიცენზიის მაძიებლის მიმართ ან თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრის დამოუკიდებლობა არ შეიძლება იყოს გარანტირებული იმ შემთხვევაში, თუ იგი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი (მეუღლე, შვილ(ებ)ი, მშობლები ან და-ძმა) არის ლიცენზიის მაძიებლის წევრი, აქციათა მფლობელი, ბიზნეს პარტნიორი, სპონსორი ან კონსულტანტი. ეს ჩამონათვალი საილუსტრაციოა და არაა ამომწურავი;
გ) არ შეიძლება იყოს ლიცენზირების მენეჯერი;
დ) არ შეიძლება ამავდროულად იყვნენ **სფფ**-ის წესდებით განსაზღვრული იურიდიული ან სხვა ორგანოს წევრები.
ე) წევრთა შორის უნდა იყოს, მინიმუმ, თითო კვალიფიციური იურისტი რომელიც უნდა ფლობდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებულ იურისტის დიპლომს და თითო კვალიფიციური ფინანსისტი, რომელიც უნდა ფლობდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და/ან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ აღიარებულ დიპლომს საბუღალტრო/სააუდიტო საქმეში.

ვ) დაიცვან **ფიფა**-ს და **სფფ**-ის ეთიკის კოდექსი.

7. ლაო-ს წევრები არ შეიძლება ამავდროულად იყვნენ სფფ-ის ადმინისტრაციული ორგანოების ან წესდებით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ან კომიტეტების თანამშრომლები.

8. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების კვორუმი უნდა იყოს მინ. 3 წევრი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

9. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უნდა მოქმედებდნენ შემდეგი პროცედურული წესების შესაბამისად:

ა) საბოლოო ვადები

საბოლოო ვადები ლიცენზირების მთლიანი პროცესისთვის განისაზღვრება ლმა-ს მიერ შემუშავებულ ცალკე გრაფიკში და სალიცენზიო სეზონის წინა წლის ნოემბრის დასრულებამდე სალიცენზიო დოკუმენტაციის პაკეტთან ერთად გადაეცემა ყველა დინტერესებულ მხარეს (ლიცენზიის მაძიებლები, დირექტიული ორგანოები და სხვ.).

ბ) ფუნდამენტური პროცედურული უფლებების გარანტია

მხარეებისთვის გარანტირებულია ფუნდამენტური საპროცედურო უფლებები, განსაკუთრებით, თანასწორად მოპყრობისა და მოსმენის უფლება (აზრის გამოთქმის, საქმესთან დაკავშირებული კონსულტაციის, მტკიცებულებათა წარმოდგენის, მტკიცებულებათა წარმოდგენაში მონაწილეობის და მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებების ჩათვლით და ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი).

გ) წარმომადგენლობა

ყოველი ლიცენზიის მაძიებლისთვის / ლიცენზიატისთვის აუცილებელია ლიცენზირების კომიტეტსა და ლიცენზირების აპელაციის ორგანოს სხდომებზე მიავლინოს უფლებამოსილი პირი და/ან ლიცენზირების მენეჯერი და/ან სხვა უფლებამოსილება მინიჭებული პირი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს პირადობის და უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები.

ლიცენზიის მაძიებლის / ლიცენზიატის ზემოაღნიშნული წარმომადგენლის დაუსწრებლობა ითვლება დისციპლინარულ დარღვევად, რომელსაც განიხილავს სფფ-ის სადისციპლინო ორგანოები. ასეთ შემთხვევაში ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება კლუბის დაუსწრებლად.

**დ) ლიცენზიის მაძიებლების უფლება, იქნენ მოსმენილნი**

ლიცენზიის ყველა მაძიებელს აქვს უფლება, იქნეს მოსმენილი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა, თავდაპირველად, უნდა დაადგინონ პიროვნებების ვინაობა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, წარმოადგინონ ლიცენზიის მაძიებელი, და შემდეგ მიმართონ მათ, თქვან სიმართლე. ამ პიროვნებებს უნდა ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ, შესაძლოა, გატარდეს დისციპლინური სანქციები, ცრუ ინფორმაციის მიცემის შემთხვევაში.

**ე) ოფიციალური ენა**

ლიცენზირების მიზნებისთვის ოფოციალურ ენას წარმოადგენს – ქართული. უეფა-ს ფორმებში (ნაბეჭდი თუ ელექტრონული) ინფორმაციის შეყვანა ხდება უეფას მიერ დადგენილ ენაზე.

**ვ) საბოლოო ვადა მოთხოვნის წარსადგენად**

საბოლოო ვადის ათვლა იწყება მხარის მიერ გადაწყვეტილების ოფიციალურად მიღების მომდევნო დღიდან. შაბათი, კვირა და საქართველოში ოფიციალური უქმეები ითვლება დაანგარიშებაში.

ელექტრონული მედიით გაგზავნილი შეტყობინებები (ე.ი. ელ-ფოსტა, ექსტრანეტი ად ა.შ.) ითვლება ადრესატამდე მისულად მისი გაგზავნისთანავე, როგორც ეს აისახება ლიცენზიარის ჩანაწერებში. წინამდებარე დებულებების თანახმად, ლიცენზიის მაძიებელმა / ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის გამართული სისტემა და ლიცენზიარი არ იღებს პასუხისმგებლობას ადრესატის მიერ ელექტრონული გზავნილის გახსნის დაყოვნებაზე / არწაკითხვაზე თუ ადრესატის მხარეს სხვა სახის ტექნიკურ პრობლემებზე.

საბოლოო ვადა იწურება ბოლო დღის შუაღამეს, თუ სხვაგვარად არ მიეთითება შეტყობინებაში. თუ ბოლო ვადა ემთხვევა შაბათს, კვირას ან საქართველოში ოფიციალურ უქმეებს, ბოლო ვადა ამოიწურება პირველივე მომდევნო სამუშაო დღეს.

**ზ) გასაჩივრების ვადები**

ლაო-ში გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს სადავო გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს ლმა-ს მიერ აპელაციებისთვის დადგენილი საბოლოო ვადისა.

საჩივარი, რომელსაც საფუძვლად უდევს სამართლიანობის პრინციპის დარღვევა ან გაუმართლებელი ვადაგადაცილება, შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ დროს.

**თ) აპელაციის შედეგი**

აპელაცია არ გამოიწვევს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაჭიანურებას.

**ი) საჭირო მტკიცებულებების სახეები**

ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს შესაძლოა მოთხოვონ მათ ხელთ არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი წერილობითი მტკიცებულების წარმოდგენა.

ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს აქვს უფლება, ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს მიმართოს შუამდგომლობით მტკიცებულების წარდგენის შესახებ.

ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, კანონიერი საფუძვლის გათვალისწნებით, აქვს უფლება არ მიიღოს ლიცენზიის მაძიებლის / ლიცენზიატის შუამდგომლობა მტკიცებულების წარმოდგენაზე.

**კ) მტკიცების ვალდებულება**

ლიცენზიის მაძიებელს ეკისრება მტკიცების ტვირთი.

**ლ) გადაწყვეტილება**

გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა უნდა გამოსცენ წერილობითი გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნული იქნება:

- ადგილი, სადაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება;
- თარიღი, როდესაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება;
- გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრთა ვინაობა;
- მხარეების და მათი წარმომადგენლების ვინაობა;
- მხარეთა განცხადებები;
- გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზები;
- გადაწყვეტილება, ხარჯების განაწილების ჩათვლით;
- შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერები;
- გასაჩივრების უფლების მითითება, თუკი შესაძლებელია (ფორმა, ორგანო, გასაჩივრების საბოლოო ვადა).

გადაწყვეტილება მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელი, ლიცენზიატი, ლმა) უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ, სფფ-ში აღიარებული ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით (საფოსტო გზავნილი, ფაქსი, ელ-ფოსტა, ექსტრანეტი და სხვ.), მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

<u>მ) გასაჩივრების საფუძველი</u>

გასაჩივრების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ლიცენზირების კომიტეტმა არ მისცა საშუალება აპელანტს, ობიექტურად გადმოეცა საქმის ვითარება;
- ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილება არღვევს მართლმსაჯულების პრინციპებს ან ლიცენზირების კომიტეტმა ჩაიდინა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე დებულებებს;
- ლიცენზირების კომიტეტმა მიიღო საქმის ვითარებით გაუმაგრებელი გადაწყვეტილება.

<u>ნ) საჩივრის შინაარსი და ფორმა</u>

საჩივარი უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობით და ხელმოწერილი იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

სააპელაციო განაცხადში მოცემული უნდა იყოს:

- ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- აპელანტის წარმომადგენელი: უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (არაა აუცილებელი უფლებამოსილი პირისა და ლიცენზირების მენეჯერისთვის);
- გადაწყვეტილება, რომლის წინააღმდეგაც ხდება საჩივრის შეტანა;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ან აბსოლუტური გაუქმების საფუძველი;
- განცხადება-მოთხოვნა;
- სააპელაციო თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში: მოთხოვნილი დოკუმენტაცია;
- საჭიროების შემთხვევაში: შუამდგომლობა მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ, მასში მითითებულ მტკიცებულებებთან ერთად.

**ო) განხილვა / მოსმენა**

განხილვები უნდა მოხდეს ფარულად; იგი შეიცავს იმ წევრების ვინაობის დასახელებას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გადაწყვეტილების გამოტანაში და რომელთა უშუალო მონაწილეობითაც შედგა კვორუმი.

გადაწყვეტილების მიმღებამ ორგანომ უნდა იმსჯელოს ცალკე კაბინეტში, მოსმენის დასრულებისთანავე.

თუ საქმე არ მოითხოვს მტკიცებულებათა წარმოდგენას, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ფაილის დარიგების შემდეგ, იმ პირობით, თუ მისი არც ერთი წევრი არ მოითხოვს მოსმენას.

**პ) პროცედურის ხარჯები / ადმინისტრაციული გადასახადი / დეპოზიტი**

სალიცენზიო გადასახადი შეადგენს 2000 ლარს;

სააპელაციო გადასახადი ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის შეადგენს 3000 ლარს (**სფფ** გათავისუფლებულია ამ გადასახადისგან);

სააპელაციო გადასახადი სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის შეადგენს 500 ლარს (**სფფ** გათავისუფლებულია ამ გადასახადისგან);

სააპელაციო თანხა შეიძლება დაუბრუნდეს აპელანტს სრულად ან ნაწილობრივ, რაზედაც **ლაო** იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

## მუხლი 7 - *სანქციების ჩამონათვალი*

შეფასების სათანადო პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, **სფფ**-მ შეადგინა სადისციპლინო სანქციების ჩამონათვალი **უეფა**-ს საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობის საკლუბო ლიცენზირების სისტემისთვის 15(2) პარაგრაფში მითითებული კრიტერიუმების შეუსრულებლობისთვის (იხ. I დანართი).

გარდა 15(2) პარაგრაფში მითითებული კრიტერიუმების შეუსრულებლობის შემთხვევებისა, წინამდებარე დებულებების დარღვევის შემთხვევაში, **სფფ** იყენებს **სფფ**-ის სადისციპლინო კოდექსს.

## მუხლი 8 - *ძირითადი პროცესი*

1. ყოველი სალიცენზიო სეზონის დასაწყისში ლიცენზიარი განსაზღვრავს ძირითად პროცესს საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმების შესამოწმებლად და ამგვარად მართავს **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემას (იხ. II დანართი). ძირითადი პროცესი ყოველწლიურად უნდა შემოწმდეს **უეფა**-ს საკლუბო ლიცენზირების ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობაზე, სერტიფიცირების დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

2. ძირითადი პროცესი იწყება ლიცენზიარის მიერ დადგენილ დღეს და მთავრდება **უეფა**-ს ადმინისტრაციისთვის სალიცენზიო გადაწყვეტილებების სიის წარდგენით იმ ვადებში, რომელსაც წერილობით აცნობებს **უეფა**.

3. საკვანძო პროცედურული ბიჯების საბოლოო ვადები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ლიცენზიარის მიერ და სალიცენზიო სეზონის წინა წლის ნოემბრის ბოლომდე მიეწოდოს დაინტერესებულ კლუბებს.

4. ძირითადი პროცესის საბოლოო ვადები უნდა აძლევდეს აპელანტს საშუალებას საბოლოო ინსტანციაში მიმართოს **სფფ**-ის წესდებით განსაზღვრულ არბიტრაჟს, ასევე ამ ვადებით არბიტრაჟს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოსატანად. ლიცენზირების აპელაციის ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ზემოაღნიშნულ არბიტრაჟში, მისთვის პირდაპირი მიმართვის გზით. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა შეადგენს 3 კალენდარულ დღეს და იგი აითვლება ლიცენზირების აპელაციის ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

## მუხლი 9 - *შეფასების პროცედურები*

შეფასების პროცედურები განსაზღვრულია **სფფ**-ის მიერ, თვითშემოწმების საკონტროლო სიასა და პროცედურებში, რაც წარმოადგენს სალიცენზიო პაკეტის ნაწილს, რომელიც გადაეცემა ლიცენზიის მაძიებლებს სალიცენზიო ციკლის დასაწყისში. თუმცა, ფინანსურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმების მეთოდები, რისთვისაც საჭიროა სპეციფიკური პროცესების დაცვა, ჩამოყალიბებულია VIII დანართში.

## მუხლი 10 - *თანასწორი მიდგომა და კონფიდენციალობა*

1. ძირითადი პროცესის განხორციელებისას ლიცენზიარი უზრუნველყოფს თანასწორ მიდგომას ლიცენზიის ყველა მაძიებლისადმი.

2. ლიცენზიარი აძლევს ლიცენზიის მაძიებლებს სრული კონფიდენციალობის გარანტიას ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი წარმოადგენს ლიცენზირების პროცესის დროს. ყველამ, ვინც ჩართულია ლიცენზირების პროცესში ან დანიშნულია ლიცენზიარის მიერ, საკუთარი მოვალეობების აღებამდე ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას კონფიდენციალობაზე.

# III. ლიცენზიის მაძიებელი და უეფა-ს ლიცენზია

## მუხლი 11 - *ლიცენზიის მაძიებლის განსაზღვრება*

1. ლიცენზიის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფეხბურთის კლუბი, ე.ი. იურიდიული პირი, რომელიც მთლიანად არის პასუხისმგებელი ფეხბურთის გუნდზე, რომელიც მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში და არის **სფფ**-ის ან მისი წევრი რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ან ლიგის რეგისტრირებული წევრი, (შემდგომში - რეგისტრირებული წევრი).

2. სალიცენზიო სეზონის დასაწყისისთვის, რეგისტრირებული წევრობა უნდა გრძელდებოდეს სულ ცოტა ზედიზედ 3 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში კლუბის სამართლებრივ ფორმაში ან სტრუქტურაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება (მაგ., სათავო ოფისის, სახელწოდების ან ფერების ცვლილება ან სხვადასხვა კლუბს შორის წილების გადანაწილება) იმ მიზნით, რომ მან, შეჯიბრების სამართლიანობის საზიანოდ, გაიადვილოს სპორტული შედეგებით კვალიფიკაცია და/ან ლიცენზიის მიღება, ჩაითვლება წინამდებარე მოთხოვნებით განსაზღვრული წევრობის პირობების წყვეტად[1].

## მუხლი 12 - *ლიცენზიის მაძიებლის ძირითადი პასუხისმგებლობები*

1. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ ვადებში ლიცენზიარს წარუდგინოს:

   ა) სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი ყველა საჭირო ინფორმაცია და/ან შესაბამისი დოკუმენტაცია; და
   
   ბ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ლიცენზიარის მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან და რომელიც შეუძლია მოითხოვოს ლიცენზიარმა.

[1] რაც შეეხება **უეფა**-ს ლიცენზიას, **უეფა**-მ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი აღნიშნულ „3-წლიან წესთან" დაკავშირებით. გამონაკლისის დაშვების პოლიტიკის პრინციპები და პროცესის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ **უეფა**-ს საკლუბო ლიცენზირებისა და ფინანსური ფეარ-პლეის დებულებების I დანართში (კერძოდ, პარ. A 1 d), 2-4 და პარ. B 1,2, 4-8) – იხ. www.uefa.com.

2. ეს მოიცავს ინფორმაციას ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულ(ებ)ის შესახებ, რომლის მიმართაც მოითხოვება სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, იურიდიული და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა.

3. ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც ადგილი ექნება სალიცენზიო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ და წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას მანამდე წარმოდგენილ ინფორმაციასთან შედარებით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიარს.

## მუხლი 13 - *უეფა-ს ლიცენზია*

1. კლუბებმა, რომლებიც სპორტული შედეგით ან **უეფა**-ს ფეარ პლეის რეიტინგით მოიპოვებენ **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლებას, უნდა მიიღონ **სფფ**-ის მიერ წინამდებარე დებულებების შესაბამისად გაცემული **უეფა**-ს ლიცენზია, გარდა მე-14 მუხლში განსაზღვრული შემთხვევებისა.

   **უეფა**-ს კლუბების მონიტორინგის მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია **უეფა**-ს საკლუბო ლიცენზირებისა და ფინანსური ფეარ-პლეის დებულებებში, ეხება ყველა ლიცენზიატს, რომელიც გავა **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებზე.

2. **უეფა**-ს ლიცენზიას ვადა გასდის ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე იმ სეზონის ბოლოს, რომელზეც გაიცა.

3. **უეფა**-ს ლიცენზიის გადაცემა არ შეიძლება.

4. სეზონის განმავლობაში შესაძლებელია ლიცენზიის ჩამორთმევა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ, თუ:

   ა) აღარ კმაყოფილდება **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემის რომელიმე პირობა; ან

   ბ) ლიცენზიატი არღვევს წინამდებარე დებულებებით განსაზღვრულ რომელიმე ვალდებულებას.

5. როგორც კი დადგება **უეფა**-ს ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი, **სფფ**-მ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ **უეფა**-ს ადმინისტრაციას.

## მუხლი 14 - უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის საგანგებო ნებართვა

1. თუ კლუბი, სპორტული შედეგების საფუძველზე, მიიღებს **უეფა**-ს საკლუბო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას, მაგრამ საერთოდ არ გაუვლია ლიცენზირების პროცესი ან გაიარა უფრო დაბალი დონის/არაეკვივალენტური ლიცენზირების პროცესი, რადგან იგი არ მიეკუთვნება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას, **სფფ**-ს, ასეთი კლუბის სახელით, შეუძლია გააკეთოს საკლუბო ლიცენზირების რიგგარეშე განაცხადი **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობაზე, III დანართის შესაბამისად.

2. ამგვარ რიგგარეშე განაცხადზე დაყრდნობით, **უეფა**-ს შეუძლია ფეხბურთის კლუბზე გასცეს **უეფა**-ს შესაბამის საკლუბო შეჯიბრებაში მონაწილეობის საგანგებო ნებართვა, რაც წარმოადგენს **უეფა**-ს შესაბამისი შეჯიბრებების დებულებების საგანს და ეხება მხოლოდ კონკრეტულ კლუბს, მხოლოდ კონკრეტულ სეზონში.

# IV. საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმები

## მუხლი 15 - *ზოგადი ინფორმაცია*

1. კლუბებმა უნდა შეასრულონ ამ თავში განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი, ქვემოთ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული კრიტერიუმების გარდა, რათა მიიღონ **უეფა**-ს ლიცენზია **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის.

2. 19(2), 21, 22, 25, 28(ბ), 35, 39, 40, 42 და 43 მუხლებში განსაზღვრული კრიტერიუმების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს უარს **უეფა**-ს ლიცენზიაზე, თუმცა მოჰყვება **სფფ**-ის სადისციპლინო დებულებებით დადგენილი სანქციები (იხ. მე-7 მუხლი და I დანართი).

3. 17(4) მუხლში განსაზღვრული კრიტერიუმების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს არანაირ სანქციას ლიცენზიარის მხრიდან, რადგან იგი წარმოადგენს მოწინავე გამოცდილების რეკომენდაციას.

### სპორტული კრიტერიუმები

## მუხლი 16 - *ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების დამტკიცებული პროგრამა*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა გააჩნდეს ლიცენზიარის მიერ დამტკიცებული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამა წერილობითი სახით. ლიცენზიარმა უნდა შეამოწმოს და შეაფასოს დამტიკცებული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება.

2. ეს პროგრამა, მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

   ა) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების მიზნები და ძირითადი პრინციპები;
   ბ) ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ორგანიზაცია (საორგანიზაციო სქემა: მასში ჩართული ორგანოები, კავშირი ლიცენზიის მაძიებელთან, ახალგაზრდული გუნდები და ა.შ);
   გ) პერსონალი (ტექნიკური, სამედიცინო, ადმინისტრაციული და ა.შ.) და საჭირო მინიმალური კვალიფიკაციები;
   დ) ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ინფრასტრუქტურა (მატჩების ჩასატარებელი და სავარჯიშო სპორტული ნაგებობები და ა.შ.);
   ე) ფინანსური რესურსები (არსებული ბიუჯეტი, ლიცენზიის მაძიებლის, ფეხბურთელების ან ადგილობრივი საზოგადოების შენატანები და ა.შ.) **სფფ**-ის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) საფეხბურთო განათლების პროგრამა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის (სათამაშო ოსტატობა, ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება);
ზ) თამაშის წესების სასწავლო პროგრამა;
თ) ანტი-დოპინგის შესახებ განათლების პროგრამა;
ი) სპორტული სამართლიანობის შესახებ განათლების პროგრამა;
კ) ახალგაზრდა ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება (სამედიცინო შემოწმებების ჩათვლით);
ლ) შემოწმებისა და გამოხმაურების მიღების პროცედურა, დასახული მიზნების მიღწევის შესაფასებლად;
მ) პროგრამის ხანგრძლივობა (მინიმუმ – 3 და მაქსიმუმ – 7 წელი);
ნ) ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ:
  - ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს აქვს სავალდებულო სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და
  - ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ არც ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს არ ეშლება ხელი, გააგრძელოს თავისი არასაფეხბურთო სწავლება.

## მუხლი 17 - *ახალგაზრდული გუნდები*

1. ლიცენზიის მაძიებელს საკუთარ სტრუქტურაში, ანგარიშგების პერიმეტრში მყოფი სამეურნეო ერთეულის სტრუქტურაში ან საკუთარ სტრუქტურაში აფილირებული კლუბის სახით უნდა ჰყავდეს მინიმუმ შემდეგი ახალგაზრდული გუნდები:

ა) 15-დან 21-წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში – ჭაბუკთა სულ ცოტა ორი გუნდი;
ბ) 10-დან 14-წლის ჩათვლით ასაკობრივ კატეგორიაში – ჭაბუკთა სულ ცოტა ორი გუნდი;
გ) 10-წლამდე ასაკის ბავშვთა სულ ცოტა ერთი გუნდი.

2. ყველა ზემოაღნიშნული გუნდი, 10-წლამდე ასაკის ბავშვთა გუნდის გარდა, ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე უნდა იღებდეს მონაწილეობას სფფ-ის მიერ აღიარებულ ოფიციალურ შეჯიბრებებში ან პროგრამებში.

3. „ფეარ-პლეის“ და შეჯიბრებების პრინციპებიდან გამომდინარე, გუნდს მიენიჭება ფილიალის სტატუსი, თუ ლიცენზიის მაძიებელი აფინანსებს და უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას ამ გუნდს და ეს ხარჯები სათანადოდ აღირიცხება ლიცენზიის მაძიებლის ანგარიშგების პერიმეტრში. ამასთან, ფილიალი გუნდი უნდა წარმოადგენდეს იმავე ქალაქს/რეგიონს, რომელსაც წარმოადგენს ლიცენზიის მაძიებელი.

4. ამას გარდა, ახალგაზრდული ფეხბურთის სწორი სტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით, ლიცენზიის მაძიებელს მოეთხოვება ჰყავდეს გუნდები ყველა ასაკში 10-დან 14-წლამდე, ხოლო უფროს ასაკებში, მინიმუმ ყოველ მეორე ასაკში, საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების ასაკობრივი კატეგორიების იდენტურად (მაგ., 15-წლამდე, 17-წლამდე, 19-წლამდე, 21-წლამდე).

## მუხლი 18 - *ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომლითაც უზრუნველყოფს მის ძირითად გუნდში თამაშის უფლების მქონე ყველა ფეხბურთელის მიერ ყოველწლიური სამედიცინო შემოწმების გავლას, **უეფა**-ს საკლუბო შეჯიბრებების დებულებების შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით.

## მუხლი 19 - *ფეხბურთელების რეგისტრაცია / კლუბის გაწვრთნილი ფეხბურთელები*

1. ლიცენზიის მაძიებლის 10 წელზე უფროსი ასაკის ყველა ფეხბურთელი უნდა იყოს რეგისტრირებული სფფ-ში, რეგიონულ ფედერაციაში ან ლიგაში, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ ფიფა-სა და სფფ-ის დებულებების შესაბამისად.

2. ლიცენზიის მაძიებლის ძირითადი გუნდის განაცხადში უნდა იყოს რეგისტრირებული, მინიმუმ, კლუბის გაწვრთნილი 5 ფეხბურთელი. ფეხბურთელი ითვლება კლუბის გაწვრთნილად, თუ იგი 15-დან 21 წლის ასაკამდე, მინიმუმ, სამი საფეხბურთო სეზონის ან სამი კალენდარული წლის განმავლობაში (ანუ ჯამში 36 თვის განმავლობაში) უწყვეტად იყო რეგისტრირებული აღნიშნულ კლუბში.

## მუხლი 20 - *წერილობითი კონტრაქტი პროფესიონალ ფეხბურთელებთან*

ლიცენზიის მაძიებლის ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს წერილობითი კონტრაქტი ლიცენზიის მაძიებელთან, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ ფიფა-სა და სფფ-ის დებულებების, ასევე უეფა-ს მიერ პროფესიონალ ფეხბურთელთა კონტრაქტებთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად.

## მუხლი 21 - *მონაწილეობა სემინარებში*

ლიცენზიის მაძიებელი უნდა დაესწროს სფფ-ის მიერ ან მასთან თანამშრომლობით სალიცენზიო სეზონის წინა სეზონის განმავლობაში ჩატარებულ შემდეგ სემინარებს ან სხვა ღონისძიებებს:

1. თამაშის წესებსა და სამსაჯო საკითხებზე, რომელსაც უნდა დაესწროს, მინიმუმ, ძირითადი გუნდის კაპიტანი (ან მისი შემცვლელი) და მთავარი მწვრთნელი (ან მისი თანაშემწე);

2. სპორტული სამართლიანობის შესახებ, რომელსაც უნდა დაესწროს, მინიმუმ, ძირითადი გუნდის კაპიტანი (ან მისი შემცვლელი) და მთავარი მწვრთნელი (ან მისი თანაშემწე), აგრეთვე, კლუბის ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი (სალიცენზიო კადრები).

## მუხლი 22 - *რასობრივი თანასწორობის პოლიტიკა*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს ფეხბურთში რასიზმის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა რასიზმის შესახებ უეფა-ს 10-პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია უეფა-ს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის დებულებებში.

# ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები

## მუხლი 23 - *სტადიონი უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებებისთვის*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰქონდეს სტადიონ(ებ)ი უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებებისთვის, რომელიც უნდა მდებარეობდეს სფფ-ის ტერიტორიაზე და დამტკიცებული იყოს სფფ-ის მიერ.

2. თუ ლიცენზიის მაძიებელი არ არის სტადიონის მფლობელი, მან უნდა წარმოადგინოს წერილობითი კონტრაქტ(ებ)ი იმ სტადიონ(ებ)ის მფლობელ(ებ)თან, რომელსაც გამოიყენებს, აგრეთვე, სტადიონ(ებ)ის მესაკუთრ(ეებ)ის მიერ სტადიონ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ამ კონტრაქტ(ებ)ით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტადიონ(ებ)ის გამოყენება სალიცენზიო სეზონში **უეფა**-ს საშინაო მატჩებისთვის.

4. სტადიონ(ებ)ი უნდა აკმაყოფილებდეს სტადიონების ინფრასტრუქტურის შესახებ **უეფა**-ს დებულებებში განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს და კლასიფიცირებული და დამტკიცებული იყოს, მინიმუმ:

- უეფა-ს მე-2 კატეგორიის სტადიონად – უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებების 1-ლი და მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპებისთვის;
- უეფა-ს მე-3 კატეგორიის სტადიონად – უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ან უეფა-ს ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციოსა და პლეი-ოფისთვის;
- უეფა-ს მე-4 კატეგორიის სტადიონად – უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფიდან დაწყებული ან უეფა-ს ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპიდან დაწყებული.

ან სფფ-ის იურისდიქციის ფარგლებში მოთხოვნილი უეფას კატეგორიის სტადიონის არარსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს წარმოდგენილი სფფ-ის ტერიტორიაზე უმაღლესი კატეგორიის სტადიონი.

## მუხლი 24 - *სავარჯიშო ობიექტების არსებობა*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰქონდეს სავარჯიშო ობიექტ(ებ)ი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მთელი სალიცენზიო სეზონის განმავლობაში. სავარჯიშო ობიექტად მხოლოდ ძირითადი სტადიონის წარმოდგენა (მუხ. 23) არ ჩაითვლება მოთხოვნის დაკმაყოფილებად.

2. თუ ლიცენზიის მაძიებელი არ არის სავარჯიშო ობიექტ(ებ)ის მფლობელი, მან უნდა წარმოადგინოს წერილობითი კონტრაქტი მათ მფლობელ(ებ)თან, აგრეთვე, ობიექტ(ებ)ის მესაკუთრე(ებ)ისგან ამ ობიექტ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ამ კონტრაქტით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავარჯიშო ობიექტების გამოყენება ლიცენზიის მაძიებლის ყველა გუნდის მიერ სალიცენზიო სეზონში, ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის გათვალისწინებით.

## მუხლი 25 - *სავარჯიშო ობიექტები – მინიმალური ინფრასტრუქტურა*

როგორც მინიმუმ, სავარჯიშო ობიექტები უნდა მოიცავდეს ღია და დახურულ სავარჯიშო მოედნებს, გასახდელებს და სამედიცინო ოთახს.

### საკადრო-ადმინისტრაციული კრიტერიუმები

## მუხლი 26 - *კლუბის ოფისი*

1. ლიცენზიის მაძიებელი უნდა ფლობდეს ან ქირაობდეს საოფისე ფართს, რომელშიც განთავსდება ადმინისტრაცია. იჯარის შემთხვევაში, უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილობითი კონტრაქტი საოფისე ფართ(ებ)ის მფლობელ(ებ)თან, აგრეთვე, ფართ(ებ)ის მესაკუთრე(ებ)ისგან ამ ფართ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ლიცენზიის მაძიებელმა აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს, რომ ოფისი ღია იყოს **სფფ**-სთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის და აღჭურვილი იყოს აუცილებელი მინიმალური ტექნიკური ინფრასტრუქტურით: ტელეფონი, ელ-ფოსტა და კომპიუტერი ინტერნეტ კავშირით. კლუბის ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართიდან (იხ. 45.2გ) მუხლი) გამოგზავნილი ინფორმაცია ითვლება კლუბის მიერ ხელმოწერილად, თუ იგი არ ეხება დოკუმენტს, რომელზეც მოითხოვება სხვა მხარის ხელმოწერაც.
2. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰქონდეს მოქმედი ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

   ა) კლუბის საორგანიზაციო სტრუქტურა (სქემის სახით), ძალაში შესვლის თარიღის მითითებით;

   ბ) ყველა სალიცენზიო კადრის ვინაობა, ფოტოსურათი და ყველა თანამდებობა, რომელიც მათ უკავია კლუბში;

   გ) ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ზემოთ მე-2 პარაგრაფში (მინ., ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა). ცალკე უნდა იყოს აღნიშნული გულშემატკივართან მეკავშირე ოფიცრის საკონტაქტო რეკვიზიტები (ელ-ფოსტა და ტელეფონი).

   ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ლიცენზირების პროცესში წარმოდგენილ ინფორმაციას.

## მუხლი 27 - *გენერალური დირექტორი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაზე. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული სფფ-ში.

2. გენერალურ დირექტორს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება.

## მუხლი 28 - *კლუბის სამდივნო*

ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო რაოდენობის კვალიფიციური თანამშრომლები. ლიცენზიის მაძიებელს, მინიმუმ, უნდა ჰყავდეს დანიშნული:

ა) თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ლიცენზირების საკითხებზე ლიცენზიართან კავშირზე. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში;
ბ) სათანადო კვალიფიკაციის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფიფა-ს ტრანსფერების შეთანხმებების სისტემაზე (ტშს). იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 29 - *ფინანსისტი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული კვალიფიციური ფინანსისტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მის ფინანსურ საკითხებზე.

2. ფინანსისტი უნდა ფლობდეს, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

ა) საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში სრული ფინანსური განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი[2];
ბ) კვალიფიციური აუდიტორის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 30 - *საზოგადოებასთან ურთიერთობა*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მედია-ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მას-მედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. მედია-ოფიცერს უნდა გააჩნდეს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი კვალიფიკაციია:

ა) ჟურნალისტის დიპლომი;
ბ) გააჩნდეს **სფფ**-ის მიერ გაცემული „კომპეტენტურობის აღიარება", რაც მოითხოვს, მინიმუმ, ერთწლიან გამოცდილებას მსგავს საქმიანობაში.

---

[2] მოკლევადიანი სწავლების შედეგად მიღებული სერტიფიკატები ან სხვ. დოკუმენტები არ ითვლება კვალიფიკაციის დადასტურებად. კვალიფიკაციის დოკუმენტებთან დაკავშირებით **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების შეფასება ითვლება კომპეტენტურად.

3. მედია-ოფიცერი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

4. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე (მაგ., ურთიერთობა ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციებთან – ფიფა და უეფა). ამ თანამდებობას შეიძლება ითავსებდეს მედია-ოფიცერი და ამ შემთხვევაში შეთავსება არ იზღუდება 42-ე მუხლის მოთხოვნებით. იგი უნდა ფლობდეს უეფას ერთ-ერთ ოფიციალურ ენას: ინგლისურს, ფრანგულს ან გერმანულს. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 31 - *ექიმი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მინიმუმ ერთი კვალიფიციური ექიმი, რომელიც პასუხისმგებელია მატჩებისა და ვარჯიშების დროს სამედიცინო მხარდაჭერაზე, ასევე დოპინგის პრევენციაზე. იგი არ უნდა ითავსებდეს სხვა სალიცენზიო თანამდებობას.

2. ექიმი უნდა იყოს ლიცენზირებული ჯანდაცვის ეროვნული სამინისტროს მიერ.

3. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 32 - *ფიზიოთერაპევტი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მინიმუმ ერთი კვალიფიციური ფიზიოთერაპევტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი გუნდის მატჩებისა და ვარჯიშების დროს მკურნალობასა და მასაჟზე.

2. ფიზიოთერაპევტს უნდა გააჩნდეს ჯანდაცვის ეროვნული სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული კვალიფიკაცია.

3. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 33 - *უსაფრთხოების ოფიცერი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული კვალიფიციური უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის საკითხებზე, ასევე კლუბში სპორტული სამართლიანობის საკითხებზე და შეასრულებს საკონტაქტო რგოლის ფუნქციას **სფფ**-ის უსაფრთხოებისა და სპორტული სამართლიანობის ორგანოსთან.

2. უსაფრთხოების ოფიცერი უნდა ფლობდეს, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

ა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გაცემული მოქმედი ან ყოფილი პოლიციელის ან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლის მოწმობა;
ბ) სტადიონზე უსაფრთხოების ყზრუნველყოფის საკითახებში, მინიმუმ, ერთწლიანი გამოცდილების საფუძველზე სფფ-ის მიერ გაცემული „კომპეტენტურობის აღიარება".

3. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული სფფ-ში.

## მუხლი 34 - *განმკარგულებლები და უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დანიშნოს/დაიქირაოს კვალიფიციური განმკარგულებლები, ასევე პოლიცია/დაცვის ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა საშინაო მატჩებზე.

## მუხლი 35 - *გულშემატკივრებთან მეკავშირე*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული გულშემატკივრებთან კავშირზე პასუხისმგებელი პირი – გულშემატკივართან მეკავშირე ოფიცერი (გმო).

2. გმო რეალურად უნდა ფუნქციონირებდეს და ასრულებდეს სფფ-ის მიერ დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც უნდა აისახოს მის თანამდებობრივ ინსტრუქციაში.

3. ამას გარდა, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს გმო-ს უფლებები, რომელსაც განსაზღვრავს სფფ.

4. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული სფფ-ში.

5. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს რეგისტრირებული გულშემატკივრების მონაცემთა ბაზა, სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მინიმუმ 50 გულშემატკივარზე.

## მუხლი 36 - *ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული კვალიფიციური მთავარი მწვრთნელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ძირითადი გუნდის საფეხბურთო საკითხებზე.

2. მთავარ მწვრთნელთან ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, მინიმუმ, რეგისტრაციის სეზონის ბოლომდე და შეესაბამებოდეს სფფ-ის მწვრთნელთა განათლების განყოფილების მიერ დადგენილ სტანდარტებს.

3. მთავარი მწვრთნელს უნდა გააჩნდეს, მინიმუმ, ერთ-ერთი შემდეგი კვალიფიკაცია:

ა) მოქმედი UEFA-A სამწვრთნელო ლიცენზია;
ბ) არა-უეფა-ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია, რომელიც უეფა-ს მიერ აღიარებულია, მინიმუმ, ზემოთ ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურად.

4. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული სფფ-ში.

## მუხლი 37 - *ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული კვალიფიციური ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე, რომელიც ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელს დაეხმარება ყველა საფეხბურთო საკითხში.

2. ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს უნდა გააჩნდეს ერთ-ერთი შემდეგი მინიმალური კვალიფიკაცია:

ა) მოქმედი UEFA-B სამწვრთნელო ლიცენზია;
ბ) არა-უეფა-ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია, რომელიც უეფა-ს მიერ აღიარებულია, მინიმუმ, ზემოთ ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურად.

3. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული სფფ-ში.

## მუხლი 38 - *ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ყოველდღიური საქმიანობის მართვასა და ტექნიკურ ასპექტებზე.

2. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს ერთ-ერთი შემდეგი მინიმალური კვალიფიკაცია:

ა) მოქმედი UEFA-A სამწვრთნელო ლიცენზია;
ბ) არა-უეფა-ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია, რომელიც უეფა-ს მიერ აღიარებულია, მინიმუმ, ზემოთ ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურად;
გ) უეფა-ს მოქმედი ელიტარული ახალგაზრდული A-ლიცენზია, რომელიც გაცემულია სფფ-ის ან უეფა-ს სხვა წევრი ასოციაციის მიერ და აღიარებულია უეფა-ს მიერ.

3. იგი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 39 - *ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელები*

1. თითოეულ სავალდებულო ახალგაზრდულ გუნდში (იხ. მუხ. 17) ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მინიმუმ ერთი კვალიფიციური მწვრთნელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი ახალგაზრდული გუნდის ყველა საფეხბურთო საკითხზე.

2. ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელები:

   ა) უნდა ფლობდნენ შემდეგ მინიმალურ სამწვრთნელო კვალიფიკაციას:
   - 15-21 წლის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ახალგაზრდულ გუნდებში – მოქმედი UEFA-A სამწვრთნელო ლიცენზია,
   - 10-14 წლის და 10-წლამდე ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ახალგაზრდულ გუნდებში – მოქმედი UEFA-B სამწვრთნელო ლიცენზია; ან

   ბ) ფლობდნენ არა-**უეფა**-ს მოქმედ სამწვრთნელო ლიცენზიას, რომელიც **უეფა**-ს მიერ აღიარებულია, მინიმუმ, ზემოთ ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურად; ან

   გ) ფლობდნენ **უეფა**-ს მოქმედ ელიტარული ახალგაზრდული A-ლიცენზიას, რომელიც გაცემულია **სფფ**-ის ან **უეფა**-ს სხვა წევრი ასოციაციის მიერ და აღიარებულია **უეფა**-ს მიერ.

3. ისინი უნდა იყვნენ რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 40 - *დამატებითი ტექნიკური პერსონალი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული სათანადო განათლების მქონე შემდეგი ტექნიკური პერსონალი:
   - მეკარეების მწვრთნელი, რომელიც ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელს დაეხმარება მეკარეთა წვრთნაში.
   - ფიზ-მომზადების მწვრთნელი, რომელიც ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელს დაეხმარება ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაში.

2. დამატებითი ტექნიკური პერსონალი განიხილება მთავარი მწვრთნელის დამხმარედ სპეციფიკურ საკითხებში და, შესაბამისად, მათ უნდა გააჩნდეთ იგივე მინიმალური კვალიფიკაცია, რაც მოეთხოვება მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს (მუხ. 37).

3. ისინი უნდა იყვნენ რეგისტრირებული **სფფ**-ში.

## მუხლი 41 - *ზოგადი მოთხოვნები 36-40 მუხლებთან დაკავშირებით*

1. 36-40 მუხლებთან დაკავშირებით, მოთხოვნილი უეფა-ს სამწვრთნელო ლიცენზიის მფლობელად ითვლება მწვრთნელი, რომელსაც, უეფა-ს მწვრთნელთა კონვენციის მოთხოვნების განხორციელების შესაბამისად:

   ა) უეფა-ს წევრი ეროვნული ასოციაციის მიერ მიეცა უეფა-ს სამწვრთნელო ლიცენზია და მოქმედია სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის; ან

   ბ) მინიმუმ, დაწყებული აქვს მოთხოვნილ უეფა-ს სამწვრთნელო ლიცენზიის მისაღებად კურსებზე სწავლა. ასეთ კურსზე უბრალოდ რეგისტრაცია არაა საკმარისი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად.

## მუხლი 42 - *უფლებები და მოვალეობები*

1. 27-40 მუხლებში განსაზღვრული პერსონალის უფლებები და მოვალეობები უნდა იყოს განსაზღვრული წერილობითი ფორმით ცალკე, ორმხრივად ხელმოწერილ თანამდებობრივ ინსტრუქციაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს განსაზღვრული მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

2. ერთი პიროვნება არ შეიძლება ითავსებდეს ორზე მეტ თანამდებობას, ხოლო მთავარ მწვრთნელს ეკრძალება სხვა თანამდებობის შეთავსება. ასევე ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დაუშვებელია სპორტულ-ტექნიკური პერსონალის დანიშვნა ან სხვა პრაქტიკულად შეუთავსებელი თანამდებობების დაკავება ერთი პირის მიერ, რაზედაც ლიცენზიარის გადაწყვეტილება ითვლება კომპეტენტურად და არ საჩივრდება.

3. გულშემატკივართან მეკავშირე შეიძლება ამავდროულად იყოს კლუბის სამდივნოს თანამშრომელი, როგორც განსაზღვრულია 28-ე მუხლში, ან 30-ე მუხლით განსაზღვრული მედია ოფიცერი ან საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი.

4. 27-40 მუხლებში განსაზღვრულ ყველა სალიცენზიო კადრს უნდა ჰქონდეს მოწერილი ხელი სფფ-ის მიერ დადგენილ სპორტული სამართლიანობის დეკლარაციაზე.

## მუხლი 43 - *სეზონის განმავლობაში შეცვლის ვალდებულება*

1. თუ 27-40 მუხლებში განსაზღვრული თანამდებობა სეზონის განმავლობაში ვაკანტური გახდება, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მაქსიმუმ 60 დღის განმავლობაში ასეთი თანამდებობა დაიკავოს პიროვნებამ, რომელსაც გააჩნია მოთხოვნილი კვალიფიკაცია.

2. თუ თანამდებობა ვაკანტური გახდება ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის/ავტოავარიის გამო, სფფ-ს შეუძლია გაახანგრძლივოს 60-დღიანი პერიოდი, თუ არსებობს საფუძლიანი დადსტურება, რომ აღნიშნული პიროვნება კვლავ ავადაა და არ შესწევს უნარი, შეასრულოს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

3. თუ 27-40 მუხლებში განსაზღვრული თანამდებობა სეზონის განმავლობაში ვაკანტური გახდება ხელმეორედ და ლიცენზიარი ჩათვლის, რომ კლუბი ამას აკეთებს დროის მოგების მიზნით, ლიცენზიარს უფლება აქვს, შეზღუდოს 60-დღიანი პერიოდი და კლუბს დაუწესოს განსხვავებული ვადები, საკუთარი შეხედულებისამებრ.

4. შეცვლის შესახებ სფფ-ს უნდა ეცნობოს და წარედგინოს საკადრო დოკუმენტაციის სრული პაკეტი, დანიშვნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

### სამართლებრივი კრიტერიუმები

## მუხლი 44 - *იურიდიული დეკლარაციები*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს იურიდიული ძალის მქონე დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს, რომ იგი:

ა) იღებს ვალდებულებას, ყოველთვის დაიცვას ფიფა-ს, უეფა-ს და სფფ-ის წესდებები, დებულებები და გადაწყვეტილებები, აგრეთვე, აღიარებს ლოზანაში არსებული სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) იურისდიქციას, როგორც ეს უეფა-ს წესდების შესაბამის მუხლებშია განსაზღვრული, ასევე სფფ-ის წესდებით განსაზღვრული დავების განმხილველი უმაღლესი ორგანოს იურისდიქციას;

ბ) ეროვნულ დონეზე მონაწილეობას მიიღებს სფფ-ის მიერ აღიარებულ და დამტკიცებულ შეჯიბრებებში;

გ) საერთაშორისო დონეზე მონაწილეობას მიიღებს უეფა-ს ან ფიფა-ს მიერ აღიარებულ შეჯიბრებებში (ეჭვების გასაფანტად, ეს პირობა არ ეხება ამხანაგურ მატჩებს);

დ) დაუყოვნებლივ აცნობებს სფფ-ს ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების ან მოვლენის, ასევე დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის გარემოების შესახებ;

ე) იღებს ვალდებულებას, დაიცვას სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების დებულებები უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის;

ვ) იღებს ვალდებულებას, დაიცვას უეფა-ს საკლუბო ლიცენზირების და ფინანსური ფეარ-პლეის დებულებები;

ზ) ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი სრულყოფილია და უტყუარი;

თ) **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების ადმინისტრაციას და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, **უეფა**-ს ადმინისტრაციას და **უეფა**-ს სასამართლო ორგანოებს აძლევს ნებისმიერი დოკუმენტის შემოწმებისა და ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციიდან ინფორმაციის მოძიების უფლებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) აცნობიერებს, რომ **უეფა** და **სფფ** იტოვებენ უფლებას, ეროვნულ დონეზე მოახდინოს შესაბამისობის შემოწმებები, წინამდებარე დებულებების 55-ე მუხლის შესაბამისად.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს იურიდიული ძალის მქონე დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მის ყველა ფეხბურთელს და პერსონალს აქვს ხელი მოწერილი სპორტული სამართლიანობის დეკლარაციაზე, როგორც ამას განსაზღვრავს **სფფ**.

3. ზემოთ, 1 და 2 პარაგრაფებში აღნიშნული დეკლარაციები უნდა იყოს დამოწმებული ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ლიცენზიარისთვის დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო თარიღამდე სამი თვის ვადაში.

## მუხლი 45 - *მინიმალური სამართლებრივი ინფორმაცია*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მოქმედი წესდების ორიგინალი, რომლის თანახმადაც, ლიცენზიის მაძიებლის ძირითად საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს ფეხბურთი და მისი განვითარება (ახალგაზრდული ფეხბურთი, ინფრასტრუქტურა და სხვ.).

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან **სფფ**-ის საკლუბო რეესტრიდან, რომელიც მოიცავს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:

ა) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ბ) სათავო ოფისის მისამართი;
გ) ელ-ფოსტის მისამართი;
დ) სამართლებრივი ფორმა;
ე) ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირების სია;
ვ) საჭირო ხელმოწერის ტიპი.

## მუხლი 46 - *სამართლებრივი ჯგუფის სტრუქტურა და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე*

1. ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს უნდა წარუდგინოს ხელმძღვანელობის მიერ სათანადოდ დამტკიცებული ჯგუფის მთლიანი იურიდიული სტრუქტურა, სქემის სახით.

2. აღნიშნული სქემა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ყველა შვილობილი კომპანიის, ყველა დაკავშირებული მხარისა და ყველა მაკონტროლებელი სამეურნეო ერთეულის შესახებ, საბოლოო სათავო კომპანიისა და საბოლოო მაკონტროლებელ მხარის ჩათვლით. ასევე უნდა იქნეს წარმოდგენილი ამგვარი სათავო კომპანიის ყველა მეკავშირე და შვილობილი კომპანია.

3. ჯგუფის იურიდიული სტრუქტურიდან ნათლად უნდა ჩანდეს **სფფ**-ის წევრი სამეურნეო ერთეული და თუ რომელია ლიცენზიის მაძიებელი, ასევე, **სფფ**-ის წევრის და ლიცენზიის მაძიებლის ნებისმიერი შვილობილი საწარმოსთვის მითითებული უნდა იყოს:

   ა) იურიდიული პირის სახელწოდება;
   ბ) იურიდიული პირის ტიპი;
   გ) ინფორმაცია ძირითადი საქმიანობისა და საფეხბურთო საქმიანობის შესახებ;
   დ) წილობრივი მონაწილეობის პროცენტი (თუ განსხვავებულია, ხმისუფლებიანი წილობრივი მონაწილეობის პროცენტიც);
   ე) სააქციო (საწესდებო) კაპიტალი;
   ვ) მთლიანი აქტივები;
   ზ) მთლიანი ამონაგები;
   თ) მთლიანი საკუთარი კაპიტალი.

ფინანსური კრიტერიუმები

## მუხლი 47 - *ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეული და ანგარიშების ფარგლები*

1. ლიცენზიის მაძიებელი განსაზღვრავს ანგარიშგების ფარგლებს, ანუ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულს ან სამეურნეო ერთეულების კომბინაციას, რომლის შესახებაც უნდა იქნეს წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია (ერთი ერთეულის, კონსოლიდირებული თუ კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება), VI B დანართის შესაბამისად.

2. ანგარიშგების პერიმეტრი უნდა მოიცავდეს ყველა სამეურნეო ერთეულს, რომლის საბუღალტრო აღრიცხვაში მიეთითება შემდეგი:

ა) საკონტრაქტო და იურიდიული ვალდებულებებიდან წარმოშობილი გადასახადი თანამშრომლებისთვის (როგორც განსაზღვრულია 50-ე მუხლში);

ბ) ფეხბურთელის რეგისტრაციის მიღების/გაყიდვის ხარჯები/შემოსავლები.

3. ანგარიშგების პერიმეტრი უნდა მოიცავდეს ჯგუფის სტრუქტურაში შემავალ ყველა სამეურნეო ერთეულს და, კერძოდ, ყველა ერთეულს, რომელიც იღებს შემოსავალს და/ან ახორციელებს მომსახურებას და/ან გაიღებს ხარჯებს ლიცენზიის მაძიებლის შემდეგ საქმიანობებთან დაკავშირებით:

ა) ბილეთების გავრცელება;

ბ) სპონსორობა და რეკლამა;

გ) ტელეტრანსლაცია;

დ) საქონლით ვაჭრობა და გამასპინძლება;

ე) კლუბის ოპერაციები (მაგ., ადმინისტრაცია, მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებული საქმიანობა და მგზავრობა);

ვ) ფინანსირება;

ზ) სტადიონის და საწვრთნელი სათავსოების მართვა და გამოყენება;

თ) ახალგაზრდული სექტორი.

4. სამეურნეო ერთეული შეიძლება გამოირიცხოს კონსოლიდაციიდან მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) იგი არ არის არსებითი ლიცენზიის მაძიებლის მიერ შექმნილ მთლიან ჯგუფთან მიმართებით; ან

ბ) მისი ძირითადი საქმიანობა არ არის ცხადად და ექსკლუზიურად დაკავშირებული ფეხბურთის კლუბის საქმიანობასთან, მდებარეობასთან, აქტივებთან ან ბრენდთან.

5. ლიცენზიის მაძიებელმა:

ა) უნდა განაცხადოს, არის თუ არა მე-3 პარაგრაფში მითითებული საქმიანობები აღრიცხული ანგარიშგების პერიმეტრში შემავალი სამეურნეო ერთეულის საბუღალტრო ჩანაწერებში და თუ ასე არ არის, წარმოადგინოს დეტალური განმარტებები; და

ბ) დეტალურად ახსნას ანგარიშგების პერიმეტრიდან სამართლებრივი ჯგუფის სტრუქტურაში შემავალი ნებისმიერი სამეურნეო ერთეულის გამორიცხვა.

## მუხლი 48 - *წლიური ფინანსური ანგარიშგება*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინოს ოფიციალური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით (31 დეკემბერი) მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგება, ლიცენზიარისთვის განაცხადის წარდგენისა და **უეფა**-სთვის ლიცენზირებული კლუბების სიის წარდგენის საბოლოო ვადამდე (31 მაისი). ფეხბურთის კლუბები ვალდებული არიან წლიური ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია დადგენილ ვადებში შეიყვანონ უეფას ელექტრონულ სისტემაში, აგრეთვე, წარმოადგინონ ნაბეჭდი და სათანადოდ ხელმოწერილი ვერსიები, ლიცენზიარის მოთხოვნის შესაბამისად.

2. წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს აუდიტირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია IV დანართში.

3. წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

   ა) ბალანსს;
   ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგებას;
   გ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
   დ) შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით მასალას; და
   ე) ხელმძღვანელობის ფინანსურ მიმოხილვას.

4. წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის ასახვის მინიმალურ მოთხოვნებს, როგორც მოცემულია V დანართში და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს, როგორც მოცემულია VI დანართში. ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი წინა საანგარიშო წლის შესადარისი მონაცემები.

5. თუ წლიური ფინანსური ანგარიშგება არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის მინიმალურ მოთხოვნებსა და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს, როგორც განსაზღვრულია ზემოთ მე-4 პარაგრაფში, მაშინ, მინიმალური საინფორმაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია IV დანართში.

## მუხლი 49 - ტრანსფერების შედეგად წარმოქმნილი ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა ფეხბურთის კლუბების მიმართ

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ სალიცენზიო სეზონის წინა 31 მარტისთვის არა აქვს ვადაგადაცილებული ვალდებულება ფეხბურთის კლუბების მიმართ (როგორც ეს განსაზღვრულია VII დანართში), გასულ 31 დეკემბრამდე განხორციელებულ სატრანსფერო ოპერაციებთან დაკავშირებით.

2. ვალდებულებად ითვლება მხოლოდ ის დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება სატრანსფერო საქმიანობიდან, რომელიც მოიცავს ფეხბურთელთა წვრთნის კომპენსაციას და სოლიდარობის გადასახადს, როგორც ეს განსაზღვრულია ფიფა-ს „დებულებებში ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ" და, ასევე, გარკვეული პირობების შესრულებისას მისაღებ თანხას.

3. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილი. იგი უნდა მომზადდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მომხდარა ტრანსფერები/იჯარა შესაბამის პერიოდში.

4. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა გახსნას ინფორმაცია ყველა ტრანსფერის შესახებ (იჯარის ჩათვლით), რომელსაც ადგილი ჰქონდა 31 დეკემბრამდე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დავალიანება 31 დეკემბრისთვის. ამას გარდა, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ყველა ტრანსფერი, რომელიც სადავოა და უნდა იქნეს განხილული კომპეტენტური ორგანოს მიერ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ან ეროვნული თუ საერთაშორისო ფეხბურთის ორგანოების ან შესაბამისი საარბიტრაჟო სასამართლოებს მიერ.

5. ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილი თითოეული ტრანსფერის/იჯარის შესახებ, მინიმუმ, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგზე:

   ა) მონაცემები ფეხბურთელზე (იდენტიფიკაცია სახელით და გვარით ან ნომრით);
   ბ) ტრანსფერზე (ან იჯარაზე) გაფორმებული კონტრაქტის თარიღი;
   გ) იმ ფეხბურთის კლუბის დასახელება, რომელიც მანამდე ითვლებოდა რეგისტრაციის მფლობელად;
   დ) ტრანსფერის (ან იჯარის) ღირებულება და/ან გადასახდელი თანხა (წვრთნის კომპენსაციის და სოლიდარობის გადასახადის ჩათვლით), თუნდაც კრედიტორი არ მოითხოვდეს გადახდას;

ე) რეგისტრაციის შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი და/ან გადასახდელი სხვა პირდაპირი დანახარჯები;
ვ) დაფარული/გადახდილი თანხა და დაფარვის თარიღი;
ზ) თითოეული ფეხბურთელის შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი ვალდებულების ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს თითოეული გადაუხდელი ელემენტის გადახდის საბოლოო ვადას.
თ) ნებისმიერი დავალიანება 31 მარტისთვის (რომელიც გადმოსულია 31 დეკემბრის მდგომარეობიდან), თითოეული გადაუხდელი ელემენტის გადახდის საბოლოო ვადის მითითებით და განმარტებით კომენტარებს; და
ი) პირობითი თანხები (პირობითი ვალდებულებები), რომლებიც ჯერ არაა აღიარებული ბალანსში 31 დეკემბრის მდგომარეობით.

6. ლიცენზიის მაძიებელმა ტრანსფერების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულების ცხრილში მოცემული ვალდებულების მთლიანი თანხა უნდა შეაჯეროს ფინანსური ანგარიშგების ბალანსში „ფეხბურთელის ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანების" პოზიციაში ნაჩვენებ მონაცემთან.

7. ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილი დამტკიცებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ, რაც დამოწმებული უნდა იყოს მოკლე ტექსტით და ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერით.

## მუხლი 50 - *ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა თანამშრომელთა და საგადასახადო ორგანოების მიმართ*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ სალიცენზიო სეზონის წინა 31 მარტისთვის მას არ გააჩნია ვადაგადაცილებული ვალდებულებები (როგორც ეს განსაზღვრულია VII დანართში) თანამშრომლების, ასევე საგადასახადო ორგანოების მიმართ, რომელიც არსებულ ხელშეკრულებათა და გაფორმებულ იურიდიულ ვალდებულებათა საფუძველზე წარმოიშვა გასულ 31 დეკემბრამდე.

2. ვალდებულებებად ითვლება ვალდებულებები თანამშრომლებისა და საგადასახადო ორგანოებისადმი, თანამშრომელთა მიმართ სახელშეკრულებო და იურიდიულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. ვალდებულებები იმ პირების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უკვე აღარ არიან ლიცენზიის მაძიებლის თანამშრომლები, ექვემდებარება ამავე კრიტერიუმს და უნდა იყოს დაფარული ხელშეკრულებაში მითითებულ და/ან კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, ფინანსურ ანგარიშგებაში ამ დავალიანებების აღრიცხვის მეთოდის მიუხედავად.

3. ტერმინი „თანამშრომელი" მოიცავს შემდეგ პირებს:

ა) ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს, ФИФА-ს „ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებების" შესაბამისად, და
ბ) იმ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ, სამედიცინო და დაცვის პერსონალს, რომლებიც, მინიმუმ, განსაზღვრულია 27-33, 35-40 მუხლებში.

4. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს უწყისი, რომელშიც ნაჩვენები იქნება ყველა თანამშრომელი, რომელიც მუშაობდა სალიცენზიო სეზონის წინა წლის ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში 31 დეკემბრამდე, ანუ, არა მხოლოდ ისინი, ვინც მუშაობს წლის ბოლოსთვის. უწყისი უნდა წარედგინოს ლიცენზიარს.

5. თითოეულ თანამშრომელზე უნდა იყოს წარმოდგენილი, მინიმუმ, შემდეგი ინფორმაცია:

ა) თანამშრომლის სახელი და გვარი;
ბ) თანამშრომლის თანამდებობა/ფუნქცია;
გ) მუშაობის დაწყების თარიღი;
დ) მუშაობის დასრულების თარიღი (თუკი ასეთს ადგილი ჰქონდა);
ე) 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ვალდებულებების ნაშთი, რომელიც მოიცავს თითოეული გადაუხდელი ელემენტის გადახდის საბოლოო ვადას; და
ვ) ნებისმიერი ვადაგადაცილებული გადასახდელი 31 მარტის მდგომარეობით (გადმოტანილი 31 დეკემბრიდან), რომელიც მოიცავს თითოეული გადაუხდელი ელემენტის გადახდის საბოლოო ვადას და განმარტებით კომენტარებს.

6. ლიცენზიის მაძიებელმა უწყისით განსაზღვრული ვალდებულების მთლიანი თანხა უნდა შეაჯეროს ფინანსური ანგარიშგების ბალანსში „თანამშრომლების მიმართ კრედიტორული დავალიანების" პოზიციაში ნაჩვენებ მონაცემთან.

7. თანამშრომელთა უწყისი დამტკიცებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ, რაც დამოწმებული უნდა იყოს მოკლე ტექსტით და ლიცენზიის მაძიებელის აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერით.

8. ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს და აუდიტორს უნდა წარუდგინოს აუცილებელი დოკუმენტური მტკიცებულებები, საიდანაც ჩანს სალიცენზიო სეზონის წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანების თანხა საგადასახადო ორგანოების მიმართ (თუ არსებობს), რომელიც წარმოიშვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და იურიდიული ვალდებულებების საფუძველზე.

9. საგადასახადო ორგანოების მიმართ თითოეულ გადასახადზე უნდა იყოს წარმოდგენილი, მინიმუმ, შემდეგი ინფორმაცია და შესაბამისი განმარტებები:

ა) კრედიტორის დასახელება;

ბ) 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი თანხა, თითოეული გადაუხდელი ელემენტის იმ თარიღის ჩვენებით, როდესაც იყო გადასახდელი;

გ) 31 მარტის მდგომარეობით არსებული დავალიანების თანხა (რომელიც გადმოტანილია 31 დეკემბრიდან), თითოეული გადაუხდელი ელემენტის იმ თარიღის ჩვენებით, როდესაც იყო გადასახდელი;

დ) ზემოაღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული ყველა დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

10. ლიცენზიის მაძიებელმა საგადასახადო შედარების ცხრილით განსაზღვრული ვალდებულების მთლიანი თანხა უნდა შეაჯეროს ფინანსური ანგარიშგების ბალანსში ,,საგადასახადო ორგანოების მიმართ კრედიტორული დავალიანების“ პოზიციაში ნაჩვენებ მონაცემთან.

11. საგადასახადო შედარების ცხრილს უნდა ჰქონდეს საგადასახადო რეესტრიდან ამონაწერის ფორმა და დამტკიცებული იყოს შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მიერ.

## მუხლი 51 - *წერილობითი მიმართვა ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე*

1. შვიდი დღის ვადაში იმ პერიოდის დაწყებამდე, როდესაც ლიცენზირების კომიტეტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის შესახებ, ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს უნდა მიმართოს წერილობით.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს შემდეგი:

ა) ლიცენზიარისთვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი სრულია და სწორი;

ბ) ლიცენზირების ყველა კრიტერიუმთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ცვლილებას(ებს);

გ) ჰქონდა თუ არა ადგილი გასული პერიოდის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ რაიმე ისეთ დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მოვლენებს ან პირობებს, რომლებიც, შესაძლოა, უარყოფით გავლენას იქონიებს ლიცენზიის მაძიებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასეთ მოვლენებს/პრიობებს განეკუთვნება, მაგალითად,:

- ფიქსირებულვადიანი სესხი, რომლის დაფარვის ვადა იწურება, მისი გადავადების ან გადახდის ყოველგვარი რეალური პერსპექტივის გარეშე;
- დამფინანსებლების ან სხვა კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ინდიკატორები;
- მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალი უკანსკნელად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემდეგ;
- კრედიტორებისთვის ვალის დროულად დაბრუნების უუნარობა;
- დამფინანსებლებთან დადებული სასესხო ხელშეკრულებების პირობების შესრულების უუნარობა;
- არსებითი თაღლითობის ან შეცდომების გამოვლენა და დადასტურება, რაც იმის მაჩვენებლია, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის სწორი;
- ლიცენზიის მაძიებელის მიმართ აღძრული დაუმთავრებელი სასამართლო პროცესი, რომელიც ისეთი საკომპენსაციო მოთხოვნებს გამოიწვევს, რომელსაც იგი სვარაუდოდ ვერ შეასრულებს;
- სასამართლოს ან გაკოტრების პროცედურებთან დაკავშირებით, ლიცენზიის მაძიებელის აღმასრულებელი პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობის ნაცვლად დაკისრებული აქვს გარედან დანიშნულ პიროვნებას (პიროვნებებს);
- უმაღლეს ხელმძღვანელობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ ის აპირებს სამეურნეო ერთეულის ლიკვიდაციას, ფუნქციონირების შეწყვეტას ან ცდილობს კრედიტორებისაგან თავის დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად, ან მას არა აქვს ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.
- სხვ.

3. თუ მოხდა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის რაიმე მოვლენა ან პირობა, ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში მოცემული უნდა იყოს ამ მოვლენ(ებ)ის ან პირობ(ებ)ის დახასიათება და მათი ფინასური გავლენის შეფასება, ან აღნიშნული უნდა იყოს, რომ ამგვარი შეფასების გამოთვლა შეუძლებელია.

4. ლიცენზიის მაძიებელი (ან **სფფ**-ის რეგისტრირებული წევრი, რომელსაც მე-11 მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო ურთიერთობა აქვს ლიცენზიის მაძიებელთან) ან მისი რომელიმე მშობელი კომპანია, რომელიც შედის ანგარიშგების პერიმეტრში, ხომ არ ითხოვს ან უკვე მიიღო დაცვა კრედიტორებისგან კანონებისა და დებულებების შესაბამისად (ნებაყოფლობითი ან სავალდებულო ადმინისტრირების პროცედურების ჩათვლით) ლიცენზირების სეზონამდე 12 თვის განმავლობაში.

5. ხელმძღვანელობის მხრიდან ზემოაღნიშნული წერილის დამტკიცება დამოწმებული უნდა იყოს ლიცენზიის მაძიებლის აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერით.

## მუხლი 52 - *მოსალოდნელი (დაგეგმილი) ფინანსური ინფორმაცია*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია, რათა ლიცენზიარს დაუდასტუროს, რომ შესწევს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა სამეურნეო ერთეულმა, სალიცენზიო სეზონის დასასრულამდე.

2. მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს იმ პერიოდს, რომელიც იწყება უშუალოდ წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის კანონმდებლობით დადგენილი საბოლოო თარიღის შემდეგ და გრძელდება, მინიმუმ, სალიცენზიო სეზონის ბოლომდე.

3. მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

   ა) მოსალოდნელი მოგებისა და ზარალის უწყისს, უშუალოდ წინა ფინანსური წლის შესადარის მონაცემებთან ერთად;
   ბ) მოსალოდნელი ფულადი ნაკადების უწყისს, უშუალოდ წინა ფინანსური წლის შესადარის მონაცემებთან ერთად; და
   გ) განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შეიცავს მოსალოდნელი მოგებისა და ზარალის უწყისისა და ფულადი ნაკადების უწყისის მოსამზადებლად გამოყენებული თითოეული მნიშვნელოვანი დაშვების მოკლე აღწერას (შესაბამისი გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციისა და სხვა ინფორმაციის სათანადო ასპექტების მითითებით), ასევე ისეთი ძირითადი რისკების მოკლე დახასიათებას, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიონ სამომავლო ფინანსურ შედეგებზე.

4. მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია უნდა მომზადდეს, მინიმუმ, ყოველკვარტალურად.

5. მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია უნდა მომზადდეს იმავე წესით, რომლის მიხედვითაც მომზადებული იყო აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, რაც გამოყენებულ იქნა წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა უკანასკნელი წლიური ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისა, რომლებიც აისახება მომავალ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში; ასეთ შემთხვევაში ეს დეტალურად უნდა აღიწეროს.

6. მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციის წარმოდგენის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია V დანართში. აგრეთვე, დამატებითი პუნქტები ან შენიშვნები უნდა იყოს მოცემული იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ განმარტებებს ან თუ მათ გარეშე მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია იქნება გაუგებარი.

7. მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია, იმ დაშვებებთან ერთად, რომლის საფუძველზეც იგი მომზადდა, დამტკიცებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ, რაც დამოწმებული უნდა იყოს მოკლე ტექსტით და ლიცენზიის მაძიებელის აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერით.

# V. ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

## მუხლი 53 - *ოფიციალური ტექსტი და კორესპონდენციის ენა*

1. თუ არსებობს განსხვავება წინამდებარე დებულებების ინგლისურ- და ქართულენოვან ინტერპრეტაციებში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

2. ნებისმიერი კორესპონდენცია ᲣᲔᲤᲐ-სა და ლიცენზიარს და/ან ლიცენზიის მაძიებელს და/ან ლიცენზიატს შორის უნდა იყოს ᲣᲔᲤᲐ-ს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე (ინგლისური, გერმანული და ფრანგული) და ᲣᲔᲤᲐ-ს შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტების სერტიფიცირებული თარგმანი მათი ხარჯებით.

## მუხლი 54 - *დანართები*

წინამდებარე დებულებების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 55 - *შესაბამისობის შემოწმებები*

1. ᲣᲔᲤᲐ და/ან ᲡᲤᲤ და/ან მათ მიერ დანიშნული ორგანოები/სააგენტოები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს ჩაატარონ როგორც ლიცენზიარის, ასევე, ამ უკანასკნელის თანდასწრებით, ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზიატის შესაბამისობის შემოწმება.

2. შესაბამისობის შემოწმებები მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ როგორც ლიცენზიარმა, ისე ლიცენზიის მაძიებელმა/ლიცენზიატმა შეასრულა წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული საკუთარი ვალდებულებები და, საბოლოოდ, ᲣᲔᲤᲐ-ს ლიცენზია გაიცა სამართლიანად.

3. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, თუ არსებობს განსხვავება წინამდებარე დებულებების ინგლისურ- და ქართულენოვან ინტერპრეტაციებში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

## მუხლი 56 - *განხორციელების მოთხოვნები*

ᲚᲛᲐ იღებს გადაწყვეტილებებს და დირექტივების, ცირკულარების ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბებს წინამდებარე დებულებების განსახორციელებლად საჭირო დეტალურ მოთხოვნებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლების და/ან ლიცენზიატებისთვის. ᲚᲛᲐ ასევე კომპეტენტურია გააკეთოს განმარტებები წინამდებარე დებულებების ტექსტთან დაკავშირებით გაუგებრობების შემთხვევაში.

## მუხლი 57 - *მიღება, ანულირება, ცვლილებების შეტანა და ძალაში შესვლა*

1. **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების წინამდებარე დებულებები **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის მიღებულია **სფფ**-ის მიერ და დამტკიცებულია მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2014 წლის 23 ოქტომბერს და ისინი ცვლიან **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების დებულებების 2013წ. გამოცემას.
2. **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების წინამდებარე დებულებები **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის არ შეიძლება შეიცვალოს ლიცენზირების პროცესის განმავლობაში, **უეფა**-ს თანხმობის გარეშე.
3. **სფფ**-ის საკლუბო ლიცენზირების წინამდებარე დებულებები **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის ძალაში შედის **სფფ**-ის აღმასკომის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**სფფ**-ის აღმასკომის სახელით:

| | |
|---|---|
| დომენტი სიჭინავა | რევაზ არველაძე |
| პრეზიდენტი | გენერალური მდივანი |

თბილისი, 23.10.2014

# I დანართი: სანქციების კატალოგი (მე-7 მუხლი)

1. მე-7 მუხლიდან გამომდინარე, წინამდებარე დანართში ჩამოყალიბებულია მოსალოდნელი სანქციები ლიცენზიის მაძიებლების / ლიცენზიატების მიმართ, მათ მიერ წინამდებარე დებულებების 15(2) პარაგრაფში მითითებული კრიტერიუმების შეუსრულებლობისათვის.

2. ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზიატის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები:

   - გაფრთხილება;
   - ჯარიმა – 1'500-დან 5'000 ლარამდე თითოეულ შეუსრულებელ კრიტერიუმზე;
   - დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება;
   - დამატებითი მოთხოვნების შესრულების ვალდებულება;
   - 3 ქულამდე დაკლება ეროვნულ ჩემპიონატში, თითოეულ შეუსრულებელ კრიტერიუმზე;
   - ფეხბურთელების ტრანსფერის განხორციელების აკრძალვა.

   ეს სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ-ცალკე ან კომბინირებულად.

3. სანქციების ამ ჩამონათვალში/კატალოგში ნებისმიერი ცვლილება უნდა იქნეს დამტკიცებული **სფფ**-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

4. წინამდებარე კატალოგში გათვალისწინებული სანქციები გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე დებულებების 15(2) პარაგრაფში მითითებული კრიტერიუმების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

5. ლიცენზიის მაძიებლისთვის / ლიცენზიატისთვის წინამდებარე კატალოგით განსაზღვრული სანქციის დაწესება წარმოადგენს სფფ-ის სადისციპლინო ორგანოების ექსკლუზიურ უფლებას.

# II დანართი: ძირითადი პროცესი

## A - სქემა

1. სქემა წარმოადგენს ძირითად პროცესს, რომელსაც უნდა მიჰყვეს ლიცენზიარი.

2. მასზე **რიცხვებით** აღნიშნულია ლოგიკური თანმიმდევრობა იმ ბიჯებისა, რომლებიც უნდა შესრულდეს **უეფა**-ს ლიცენზიის მაძიებლის განაცხადის დასამუშავებლად. დიაგრამაზე თანმიმდევრობით მოცემულია რიცხვები 1-დან 14-მდე (მარცხენა სვეტი). ეს ის ბიჯებია, რომელსაც ლიცენზიარი მიჰყვება, თუ პროცედურის მიმდინარეობისას არანაირი პრობლემა არ წამოიჭრება, ე.ი., როდესაც ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და ლიცენზიარის ხელმძღვანელობა ასევე მიჰყვება იდეალურ გეგმას.

3. დიაგრამაზე მოცემული ასოებით აღნიშნულია ის საკითხები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ლიცენზირების პროცესის მიმდინარეობისას და საჭიროებს შესაბამის რეაგირებას. დიაგრამაზე თანმიმდევრულად მოცემულია ასოები (A)-დან (H)-მდე.

4. **გამოყენებული შემოკლებები:**

| | |
|---|---|
| **ლმ** | - ლიცენზირების მენეჯერი |
| **ლმა** | - საკლუბო ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია |
| **ლკ** | - ლიცენზირების კომიტეტი |
| **ლაო** | - ლიცენზირების აპელაციის ორგანო |
| **არბიტრაჟი** | - **სფფ**-ის წესდების შესაბამის მუხლებში განსაზღვრულ დავების განმხილველი დამოუკიდებელი უმაღლესი ორგანო |

# ძირითადი პროცესი



## B - პროცესის აღწერა

1. სალიცენზიო სეზონის წინა წლის ნოემბრის ბოლომდე, ლმ ამზადებს სალიცენზიო დოკუმენტებს, რომელიც მოიცავს კრიტერიუმებს, ინსტრუქციებს, მეთოდურ მასალებს, ნიმუშებს, უკან დასაბრუნებელ კითხვარებს და ფორმებს.

2. ლმ ლიცენზიის მაძიებლებს გადასცემს დოკუმენტების მომზადებულ პაკეტს, მთლიანი ძირითადი პროცესის დეტალური გრაფიკის და წინამდებარე დებულებების ჩათვლით. იგი შესაძლოა გადაეცეს პერსონალურად, გაიგზავნოს ფოსტით ან ელ-ფოსტით, ფაქსით, განთავსდეს ექსტრანეტზე და ა.შ. ლმ-ს შეუძლია, მოითხოვოს დოკუმენტების მიღების დამადასტურებელი საბუთი.

3. ლიცენზიის მაძიებელი ავსებს დოკუმენტებს (ფორმებს, კითხვარებს, ნიმუშებს და ა.შ) და დადგენილ ვადებში უბრუნებს მათ შესაბამისი კრიტერიუმების ექსპერტებს. ეს დოკუმენტები, შესაძლოა, უკან დაბრუნდეს ფოსტით, განთავსდეს ექსტრანეტზე და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დაერთოს დამადასტურებელი დოკუმენტებიც. ლიცენზიის მაძიებლები არ არიან ვალდებული წარმოადგინონ დოკუმენტების ორიგინალები, თუ სხვაგვარად არ მიეთითება წინამდებარე დებულებებში ან არ მოითხოვება ლიცენზიარის მიერ. ლიცენზიის მაძიებლებს **არ სჭირდებათ** დაურთონ უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ელ-ფოსტის გზავნილებსა და დოკუმენტებში, როგორიცაა ელექტრონული ფორმები და კითხვარები, **თუ** ისინი გამოგზავნილია ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართიდან, რომელიც მითითებულია სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში **და/ან** განთავსდება ექსტრანეტზე კლუბის რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ.

4. დოკუმენტების მიღებისას, შესაბამისი კრიტერიუმების ექსპერტები ამოწმებენ ლიცენზიის მაძიებლის მიერ დაბრუნებული დოკუმენტების სისრულეს და მათი დადგენილ ვადებში გამოგზავნის ფაქტს, ასევე განიხილავენ მას, ამოწმებენ შესრულებულია თუ არა კრიტერიუმები (თუ საჭიროა, ეწვევიან ლიცენზიის მაძიებელს). ლმ აკონტროლებს დადგენილი ვადების დაცვას ლიცენზიის მაძიებლების მიერ.

5. გადაწყვეტილება.

   ორი ალტერნატივა: მე-6 ბიჯი ან (A) ბიჯი.

6. თუ დოკუმენტები სრულია და ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს კრიტერიუმების მოთხოვნებს ან ამოწურულია დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა, შესაბამისი ექსპერტები, დადგენილ ვადებში წარუდგენენ ანგარიშს ლმ-ს შემუშავებული ფორმების შესაბამისად (საკონტროლო სიები, ანგარიშები და ა.შ.). ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს კრიტერიუმის შესრულების დამადასტურებლად წარმოდგენილ დოკუმენტებზე.

7. ლმ ამოწმებს, ექსპერტების ანგარიშების სრულყოფილებას და დადგენილ ვადებში წარმოდგენას. ლმ განიხილავს ექსპერტების ანგარიშებსა და მოსაზრებებს.

8. ლმ დადგენილ ვადებში ამზადებს ანგარიშს ლიცენზირების კომიტეტისთვის, ლკ-ის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაწყებამდე, მინიმუმ, 3 დღით ადრე. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს შემოწმების სხვადასხვა ასპექტს (მიღებული დოკუმენტების ანალიზი და ადგილზე ვიზიტების შედეგები, თუკი ამას ადგილი ჰქონდა).

9. ლკ იღებს ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის წერილობით განცხადებას, წინამდებარე დებულებების 51-ე მუხლის შესაბამისად.

10. ლკ დადგენილ ვადებში იღებს ლმ-ის ანგარიშს, ექსპერტების დასკვნებს და ლიცენზიის მაძიებლის სრულ დოკუმენტაციას, განიხილავს მას, საჭიროების შემთხვევაში, ლმ-ს და/ან ექსპერტებისგან მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებებსა და დოკუმენტებს.

11. ლკ იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ან უარის შესახებ, ასევე ადგენს სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის ფაქტს (მუხ. 15), რომლის შესახებაც აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს და ლმ-ს), გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

ორი ალტერნატივა: მე-12 ბიჯი ან (B) ბიჯი.

12. ლიცენზიის მაძიებლის დოკუმენტების, ექსპერტების დასკვნებისა და ლმ-ის ანგარიშის ყურადღებით განხილვის შემდეგ, გადაწყვეტილების მიმღები სალიცენზიო ორგანო ან სფფ-ის წესდებით განსაზღვრული არბიტრაჟი გასცემს უეფა-ს ლიცენზიას. უეფა-ს ლიცენზიის გაცემის პირობას წარმოადგენს ლიცენზიის მაძიებლის მიერ ყველა კრიტერიუმის შესრულება, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე დებულებების 15(1) პარაგრაფში. გაცემულ უეფა-ს ლიცენზიაში, შესაძლოა, დეტალურად აღიწეროს საკითხები, რომელზეც ლიცენზიის მაძიებელმა მომავალში უნდა გაამახვილოს ყურადღება. გადაწყვეტილების მიმღები სალიცენზიო ორგანოები და სფფ-ის წესდებით განსაზღვრული არბიტრაჟი პასუხისმგებელია საკუთარი გადაწყვეტილებების მიწოდებაზე დაინტერესებული მხარეებისთვის.

13. ლმ იღებს ანგარიშებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისგან, ასევე იღებს გადაწყვეტილებას, გაასაჩივროს თუ არა ლკ-ის გადაწყვეტილება ლაო-ში.

ორი ალტერნატივა: მე-14 ბიჯი ან (C) ბიჯი.

14. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისა და არბიტრაჟის გადაწყვეტილებების საფუძველზე, ლმ ამზადებს ლიცენზიის მაძიებლების სიას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ უეფა-ს საკლუბო ტურნირებში. უეფა-ს ეგზავნება სალიცენზიო გადაწყვეტილებების სია უეფა-ს მიერ დადგენილ ვადებში, რომელსაც უეფა გამოაცხადებს სალიცენზიო სეზონის წინა წლის 31 აგვისტომდე.

(A) მე-5 ბიჯიდან:

თუ დოკუმენტები არ არის სრულყოფილი ან თუ ლიცენზიის მაძიებელი არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, შესაბამისი ექსპერტები უკავშირდებიან ლიცენზიის მაძიებელს, რათა შეთანხმდნენ შემდგომ სამოქმედო ნაბიჯებზე. მაგ.:

- მოითხოვს ინფორმაციას, მტკიცებულებებს, კითხვარს ან ფორმას, რომელიც აკლია;
- მოითხოვს განმარტებებს ან დამატებით დოკუმენტებს;
- შემდგომი გამოკვლევის მიზნით ახორციელებს ვიზიტს კლუბში.

(B) ლიცენზიის მაძიებლის დოკუმენტების, ექსპერტების დასკვნის და ლმ-ის ანგარიშის ყურადღებით განხილვის შემდეგ, ლკ, ლაო ან არბიტრაჟი უარს ამბობს უეფა-ს ლიცენზიის გაცემაზე. უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილებებში დეტალურად უნდა იყოს მოცემული უარის მიზეზები და ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს მოგვარებას. ამასთან, ლიცენზიის მაძიებელს მიეცემა ლკ-ის გადაწყვეტილების – ლაო-ში და ლაო-ს გადაწყვეტილების არბიტრაჟში გასაჩივრების საშუალება.

(C) ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს ან ლმ-ს შეაქვს აპელაცია პირდაპირ ლაო-ში. ლაო ადგენს სხდომის თარიღს და აცნობებს მონაწილე მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელი / ლიცენზიატი, ლმ და სხვ.).

(D) ლმ ამზადებს ანგარიშს და გადასცემს ლაო-ს, სხდომამდე, მინიმუმ, 3 დღის ვადაში. ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი პრობლემური საკითხები და უარის თქმის მიზეზები. ლაო იკრიბება და განიხილავს ლიცენზიის მაძიებლის / ლიცენზიატის ან ლმ-ის საჩივარს. ლაო-ს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და/ან მტკიცებულებები მათგან.

(E) ლაო იღებს გადაწყვეტილებას, ლიცენზიის გაცემის ან უარის შესახებ, ასევე ადგენს სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის ფაქტს (მუხ. 15), რომლის შესახებაც აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს და ლმ-ს), გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

ორი ალტერნატივა:

- მე-12 ბიჯი; ან
- (B).

(F) ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს ან ლმ-ს შეაქვს საჩივარი პირდაპირ სფფ-ის წესდებით განსაზღვრულ არბიტრაჟში. ეს არბიტრაჟი ადგენს სხდომის თარიღს და აცნობებს მონაწილე მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელი / ლიცენზიატი, ლმ და სხვ.).

(G) აღნიშნული არბიტრაჟი იკრიბება და განიხილავს ლიცენზიის მაძიებლის / ლიცენზიატის ან ლმ-ის საჩივარს.

(H) აღნიშნული არბიტრაჟი იღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესახებაც აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზიატს და ლმ-ს), გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

ორი ალტერნატივა:

- მე-12 ბიჯი; ან
- (B).

## III დანართი: უეფა-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის საკლუბო ლიცენზირების სისტემის რიგგარეშე განაცხადი

1. **უეფა**-ს ადმინისტრაცია, 14(1) პარაგრაფის შესაბამისად, განსაზღვრავს ლიცენზირების რიგგარეშე განაცხადის საბოლოო ვადებს და მინიმალურ კრიტერიუმებს **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისთვის და **სფფ**-ს აცნობებს სალიცენზიო სეზონის წინა წლის 31 აგვისტომდე.

2. **სფფ**-მ წერილობით უნდა მიმართოს **უეფა**-ს ადმინისტრაციას ასეთი რიგგარეშე განაცხადის მოთხოვნით და მიუთითოს შესაბამისი კლუბ(ებ)ის სახელ(ებ)ი იმ ვადებში, რომელიც მას აცნობა **უეფა**-ს ადმინისტრაციამ.

3. **სფფ** პასუხისმგებელია, კრიტერიუმები წარუდგინოს შესაბამის კლუბ(ებ)ს, რათა მოხდეს ეროვნულ დონეზე რიგგარეშე განაცხადის შეფასება. მან, აგრეთვე, კლუბ(ებ)თან უნდა განახორციელოს ამ პროცედურის მოსამზადებელი სასწრაფო ღონისძიებები.

4. შესაბამისმა კლუბ(ებ)მა უნდა წარუდგინოს საჭირო დოკუმენტური დასაბუთება ლიცენზიარს, რომელიც აფასებს კლუბ(ებ)ს დადგენილი მინიმალური სტანდარტების მიმართ და, დადგენილ საბოლოო ვადაში **უეფა**-ს ადმინისტრაციას გაუგზავნის მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე თარგმნილ შემდეგ დოკუმენტაციას:

   ა) წერილობითი მოთხოვნა **უეფა**-ს შესაბამის საკლუბო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურ ნებართვაზე;
   ბ) ლიცენზიარის შეფასებაზე დაფუძნებული რეკომენდაცია (თარიღისა და იმ პიროვნებების სახელების ჩათვლით, რომლებმაც შეაფასეს კლუბ(ებ)ი);
   გ) კლუბ(ებ)ისა და ლიცენზიარის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტური დადასტურება;
   დ) რიგგარეშე პროცედურის განმავლობაში **უეფა**-ს ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

   თარგმანის ხარჯებს გაიღებს ლიცენზიის მაძიებელი.

5. **უეფა**-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ეფუძნება წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იძლევა **უეფა**-ს საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის საგანგებო ნებართვას, თუ ყველა დადგენილი კრიტერიუმი შესრულებულია და კლუბ(ებ)ი სპორტული შედეგით გადის(ან) ევროტურნირზე. გადაწყვეტილება ეცნობება **სფფ**-ს, რომელმაც უნდა დაუგზავნოს იგი დაინტერესებულ კლუბ(ებ)ს.

6. თუ აღნიშნული საგანგებო პროცედურის განმავლობაში ასეთი კლუბი სპორტული შედეგებით გამოირიცხება ევროტურნირების საგზურის მოპოვების კანდიდატების სიიდან, **სფფ**-მ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ **უეფა**-ს ადმინისტრაციას და ეს პროცედურა მყისვე შეწყდება, შემდგომი გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ასეთი შეწყვეტილი პროცედურა არ შეიძლება განახლდეს მომდევნო ეტაპზე.

7. **უეფა**-ს ამინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება წერილობით გასაჩივრდეს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS), **უეფა**-ს წესდებაში მითითებული პირობების შესაბამისად.

# IV დანართი: აუდიტორის არჩევა და აუდიტორის მიერ ჩასატარებელი პროცედურები

## A - პრინციპი

1. აუდიტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის შესაბამისად (იხ. 48-ე მუხლი).

2. აუდიტორი უნდა იყოს სფფ-ის მიერ დამტკიცებული სიიდან, რომელიც შედგება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორაციული წევრებისგან, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი (საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების ფილიალები და ა.შ.). ლიცენზიის მაძიებელმა წინასწარ, დადგენილ ვადებში უნდა აცნობოს სფფ-ს აუდიტორის ვინაობა. ლმა-ს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს ამოიღოს სიიდან აუდიტორული კომპანია(ები). ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არ საჭიროებს დასაბუთებას და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

## B - შეფასების პროცედურები

1. აუდიტორმა უნდა ჩაატაროს წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტორის დასკვნა უნდა:
   ა) შეიცავდეს განცხადებას, რომ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; და
   ბ) წარედგინოს ლიცენზიარს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რათა შეადგინოს სალიცენზიო გადაწყვეტილების საფუძველი.

2. აუდიტორმა უნდა შეაფასოს დამატებითი ინფორმაცია, თუკი არსებობს. აუდიტორის დასკვნა უნდა:
   ა) შეიცავდეს განცხადებას, რომ შეფასება ჩატარდა შეთანხმებული პროცედურების მიხედვით დაკავშირებული მომსახურების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების (ISRS 4400) შესაბამისად; და
   ბ) წარედგინოს ლიცენზიარს დამატებით ინფორმაციასთან ერთად, რათა შეადგინოს სალიცენზიო გადაწყვეტილების საფუძველი.

3. ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავებული ინფორმაცია შეიძლება შეფასდეს აუდიტორის მიერ. ფაქტიურ შედეგებზე აუდიტორის მიერ დასკვნის გაკეთების შემთხვევაში, დასკვნა უნდა:
   ა) შეიცავდეს განცხადებას, რომ შეფასება ჩატარდა შეთანხმებული პროცედურების მიხედვით დაკავშირებული მომსახურების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების (ISRS 4400) შესაბამისად; და

ბ) წარედგინოს ლიცენზიარს შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, რათა შეადგინოს სალიცენზიო გადაწყვეტილების საფუძველი.

# V დანართი: მინიმალური მოთხოვნები ინფორმაციის წარდგენისადმი

## A - პრინციპი

1. ეროვნული საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების, IFRS-ის მოთხოვნების თუ მცირე და საშუალო სამეურნეო ერთეულებისთვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიუხედავად, წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული ფინანსური კრიტერიუმები ლიცენზიის მაძიებლებისგან მოითხოვენ ლიცენზიარისთვის ფინანსური ინფორმაციის სპეციფიკური მინიმალური დონის წარდგენას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია 48-ე და 52-ე მუხლებში.

2. წლიური ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ამას გარდა, იმისთვის, რომ მომხმარებელმა სწორად გაიგოს წარმოდგენილი ინფორმაცია, ფინანსურ ანგარიშგებაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, გამეორდეს:

   ა) ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის სახელწოდება (და სამართლებრივი ფორმა), იურიდიული და ფაქტიური მისამართები და კანონმდებლობით დადგენილი წინა საბოლოო თარიღის შემდეგ ამ ინფორმაციაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;
   ბ) ეხება თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია: ლიცენზიის ინდივიდუალურ მაძიებელს, სამეურნეო ერთეულების ჯგუფს თუ სამეურნეო ერთეულების რომელიმე სხვა ტიპის გაერთიანებას; ასევე ამგვარი ჯგუფის ან გაერთიანების სტრუქტურისა და შემადგენლობის აღწერა; და
   გ) კანონმდებლობით დადგენილი საბოლოო თარიღი და ფინანსური ინფორმაციით (როგორც მიმდინარე, ასევე შესადარისი ინფორმაციით) მოცული პერიოდი.

3. ყველა ფინანსური დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ლარებში.

## B - ბალანსი

1. მინიმალური მოთხოვნები ბალანსის მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ.

   მიმდინარე აქტივები

   i) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ii) მოთხოვნები ტრანსფერებიდან

iii) მოთხოვნები ჯგუფში შემავალი სამეურნეო ერთეულებისა და სხვა დაკავშირებულ მხარეთა მიმართ

iv) სხვა მიმდინარე აქტივები

v) მარაგი

<u>გრძელვადიანი აქტივები</u>

vi) გრძელვადიანი მატერიალური აქტივები

vii) არამატერიალური აქტივები – ფეხბურთელები

viii) სხვა არამატერიალური აქტივები

ix) ინვესტიციები

x) სხვა გრძელვადიანი აქტივები

<u>მოკლევადიანი ვალდებულებები</u>

xi) ბანკის ოვერდრაფტები და სესხები

xii) ვალდებულებები ტრანსფერებისათვის

xiii) ვალდებულებები ჯგუფში შემავალ სამეურნეო ერთეულებისა და სხვა დაკავშირებულ მხარეთა წინაშე

xiv) ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

xv) საგადასახადო ვალდებულებები

xvi) სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

xvii) მოკლევადიანი ანარიცხები

<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>

xviii) ბანკისა და სხვა სესხები

xix) ფეხბურთელთა ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებები

xx) საგადასახადო ვალდებულებები

xxi) სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

xxii) სხვა საგადასახადო ვალდებულებები

xxiii) გრძელვადიანი ანარიცხები

<u>წმინდა აქტივები/ვალდებულებები</u>

xxiv) წმინდა აქტივები/ვალდებულებები

<u>საკუთარი კაპიტალი</u>

xxv) საკუთარი კაპიტალი და რეზერვები

2. ხელმძღვანელობამ შესაძლოა გადაწყვიტოს, (i)-(xxv) პუნქტების ჩაწერა უმჯობესია ბალანსში თუ შენიშვნებში.

## C - მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

1. მინიმალური მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ.

ამონაგები

i) ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები
ii) ამონაგები სპონსორობიდან და რეკლამებიდან
iii) ამონაგები ტრანსლაციიდან
iv) კომერციული ამონაგები
v) **უეფა**-ს სოლიდარობისა და საპრიზო თანხა
vi) სხვა საოპერაციო ამონაგები

ხარჯები

vii) გაყიდული საქონლის/მასალების თვითღირებულება
viii) თანამშრომელთა გასამრჯელოების ხარჯები
ix) ცვეთა და ამორტიზაცია
x) გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება
xi) სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა

xii) მოგება/ზარალი აქტივების გაყიდვიდან
xiii) მოგება/ზარალი არამატერიალური აქტივის – ფეხბურთელების გაყიდვიდან
xiv) ფინანსური შემოსავალი
xv) ფინანსური დანახარჯები
xvi) საგადასახადო ხარჯი
xvii) მოგება ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ

2. ხელმძღვანელობამ შესაძლოა გადაწყვიტოს, (i)-(xxii) პუნქტების ჩაწერა უმჯობესია მოგება-ზარალის უწყისში თუ შენიშვნებში:

## D - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური პერიოდის ფულადი ნაკადები (და წინა ფინანსური პერიოდის შესადარისი მონაცემები) შემდეგი სახით კლასიფიცირებული:

*ა) ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან*

საოპერაციო საქმიანობა არის სამეურნეო ერთეულის ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. ამგვარად, აღნიშნული ფულადი ნაკადები, საზოგადოდ, მიიღება ისეთი ოპერაციებიდან და სხვა მოვლენებიდან, რომლებიც მონაწილეობს წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრაში

*ბ) ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან*

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა (მათ შორის, მოთამაშეთა რეგისტრაციების) და სხვა ისეთი ინვესტიციების შეძენა და რეალიზაცია, რომელთაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. სამეურნეო ერთეულმა ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი (ბრუტო) ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

*გ) ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან*

საფინანსო საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება სამეურნეო ერთეულის საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები. სამეურნეო ერთეულმა ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი (ბრუტო) ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

*დ) სხვა ფულადი ნაკადები*

განცალკევებით უნდა აისახოს პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი სახსრები. წლების მანძილზე, თითოეული მათგანი უცვლელად უნდა იყოს წარდგენილი როგორც საოპერაციო, ან საინვესტიციო, ან საფინანსო საქმიანობა.

ცალკე უნდა აისახოს მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები, თუ შეუძლებელია მათი სათანადოდ და ზუსტად გაიგივება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან.

2. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემადგენელი კომპონენტები, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული თანხები უნდა ედრებოდეს ბალანსში წარდგენილ ეკვივალენტურ მუხლებს.

## E - წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

ფინანსურ ანგარიშგებას ყოველთვის უნდა ერთოდეს შენიშვნები. უშუალოდ ბალანსში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების თითოეული მუხლის ბოლოს მითითებული უნდა იყოს შენიშვნა, სადაც გახსნილია ამ მუხლის შესაბამისი ინფორმაცია. ქვემოთ განხილულია მინიმალური მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გასახსნელი ინფორმაციისთვის:

*ა) სააღრიცხვო პოლიტიკა*

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

*ბ) მატერიალური გრძელვადიანი აქტივები*

განმარტებით შენიშვნებში ცალ-ცალკე უნდა გაშუქდეს მატერიალური გრძელვადიანი აქტივების თითოეული კატეგორია (კლასი) (მაგ., ძირითადი საშუალებები: ქონება (შენობა-ნაგებობები), სტადიონი და საწვრთნელი მოედანი აღჭურვილობა).

მატერიალური გრძელვადიანი აქტივების თითოეული კლასისათვის შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

i) მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ცვეთა (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს; და

ii) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენები იქნება აქტივების შემოსვლა (მატება), გასვლა, გადაფასების შედეგად გამოწვეული ღირებულების მატება ან კლება პერიოდის განმავლობაში, პერიოდის მანძილზე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს), მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული გაუფასურების ზარალის ანულირება (უკუგატარების თანხა) (თუ ასეთი არსებობს) და ცვეთა;

ცვეთის დარიცხვისთვის გამოყენებული მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები (ან ცვეთის ნორმები) უნდა განიმარტოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

*გ) არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები*

განმარტებით შენიშვნებში ცალ-ცალკე უნდა გაშუქდეს არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების თითოეული კატეგორია (კლასი) (მაგ., მოთამაშეთა რეგისტრაციები, გუდვილი, სხვა არამატერიალური აქტივები).

არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების თითოეული კლასისათვის შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

i) მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს; და

ii) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენები იქნება აქტივების შემოსვლა (მატება), გასვლა, პერიოდის განმავლობაში მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული გაუფასურების ზარალით (თუ ასეთი არსებობს) გამოწვეული შემცირება (თუ ასეთი არსებობს) და ამორტიზაცია;

მოთამაშეთა რეგისტრაციების ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა და სახელმძღვანელო მითითებების გასაცნობად იხილეთ დანართი VI.

*დ) დაგირავებული აქტივები და საკუთრების უფლებაშეზღუდული აქტივები*

შენიშვნებში განიმარტება აქტივების საკუთრების უფლებაზე შეზღუდვების არსებობა და მათი თანხობრივი სიდიდე, ასევე ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით გირაოში ჩადებული ძირითადი საშუალებები – ქონება (შენობა-ნაგებობები), სტადიონი და საწვრთნელი აღჭურვილობა, ან გარანტიები.

უნდა განიმარტოს ისეთი არამატერიალური აქტივების არსებობა და მათი საბალანსო ღირებულებები, რომელთა საკუთრების უფლებაც შეზღუდულია, ასევე იმ არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც გირაოშია ჩადებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით.

*ე) ინვესტიციები*

ინვესტიციები უნდა მოიცავდეს ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ერთობლივად კონტროლირებად სამეურნეო ერთეულებსა და მეკავშირე სამეურნეო ერთეულებში. შვილობილი კომპანიებში, ერთობლივად კონტროლირებად სამეურნეო ერთეულებსა და მეკავშირე სამეურნეო ერთეულებში დაბანდებული თითოეული ინვესტიციისთვის განმარტებით შენიშვნებში უნდა განიმარტოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

i) სამეურნეო ერთეულის სახელწოდება;
ii) ქვეყანა, სადაც იურიდიულად არის რეგისტრირებული ან მდებარეობს;
iii) სამეურნეო ერთეულის ბიზნესის/საქმიანობის ტიპი;
iv) საკუთრების წილი;
v) თუ განსხვავებულია, კუთვნილი ხმისუფლებიანი წილის პროცენტიც; და
vi) ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის გამოყენებული მეთოდის აღწერა.

*ვ) ბანკის ოვერდრაფტები და სესხები*

ფინანსური ვალდებულების თითოეული კატეგორიისათვის შენიშვნებში უნდა განიმარტოს შემდეგი ინფორმაცია:

i) ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობისა და ხასიათის, მათ შორის შესაბამისი თანხებისა და ხელშეკრულების პერიოდის შესახებ, იმ მნიშვნელოვანი ვადებისა და პირობების მითითებით, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეზე, მათი მიღების დროსა და დამაჯერებლობაზე; და

ii) სამეურნეო ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკა და მის მიერ შერჩეული და გამოყენებული მეთოდები, მათ შორის, აღიარების კრიტერიუმები და გამოყენებული შეფასების საფუძვლები.

*ზ) ანარიცხები*

შენიშვნებში ანარიცხები უნდა აისახოს კატეგორიების მიხედვით. იმის დასადგენად, რომელი ანარიცხების ან პირობითი ვალდებულებების გაერთიანება არის შესაძლებელი ერთ კატეგორიაში, აუცილებელია იმის განხილვა, საკმარისად მსგავსი ბუნებისაა თუ არა მუხლები იმისათვის, რომ გაერთიანდეს და ერთი თანხით იყოს წარმოდგენილი.

თითოეული ტიპის ანარიცხისთვის ნაჩვენები უნდა იყოს საბალანსო ღირებულება პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს, ასევე მოცემული პერიოდის განმავლობაში გამოყენებული და გამონთავისუფლებული თანხა, ან ანგარიშის კრედიტის მხარეს ასახული ნებისმიერი თანხა.

*თ) გამოშვებული კაპიტალი და რეზერვები*

განმარტებით შენიშვნებში ცალ-ცალკე უნდა გაშუქდეს ინფორმაცია სააქციო კაპიტალის, სხვა რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების შესახებ.

i) სააქციო კაპიტალი
მიმდინარე წლის მანძილზე გამოშვებულ სააქციო კაპიტალთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს შემდეგი ინფორმაცია:
- გამოშვებული აქციების რაოდენობა და ტიპი;
- აქციების გამოშვების შედეგად წარმოშობილი საემისიო კაპიტალი (თუ არსებობს);
- აქციების გამოშვების შედეგად წარმოქმნილი მთლიანი თანხა;
- ახალი აქციების გამოშვების მიზეზები.

ii) სხვა რეზერვები

როდესაც ძირითადი საშუალებების (ქონება, სტადიონი და აღჭურვილობა) მუხლები გადაფასებული ღირებულებით არის ასახული, განმარტებით შენიშვნებში მითითებული უნდა იყოს გადაფასებით წარმოქმნილი ნამეტი თანხა, რომელიც გვიჩვენებს მოცემული პერიოდის განმავლობაში მომხდარ ცვლილებას, ასევე ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც ეხება ნაშთის განაწილებას აქციონერებზე.

iii) გაუნაწილებელი მოგება

შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გაუნაწილებელი მოგების ნაშთი (ე.ი. დაგროვილი მოგება ან ზარალი), ასევე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები.

*ი) მაკონტროლებელი მხარე*

როდესაც ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულს სხვა მხარე აკონტროლებს, შენიშვნებში უნდა განიმარტოს მოცემულ დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობა და დაკავშირებული მხარის სახელწოდება, ასევე, საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, თუ იგი განსხვავებულია. ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა რაიმე ოპერაცია მაკონტროლებელ მხარეებსა და ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულს შორის.

*კ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები*

თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებს შორის შესრულებული იყო ოპერაციები, ანგარიშვალდებულმა სამეურნეო ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის ხასიათი, ასევე ინფორმაცია შესრულებული ოპერაციებისა და გადავადებული ნაშთების შესახებ, მათ შორის სახელშეკრულებო (მყარი) ვალდებულებების შესახებ, ვალდებულებების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის შესაფასებლად. მსგავსი ბუნების მუხლები აგრეგირებული სახით უნდა გაშუქდეს, თუ მათი ცალ-ცალკე განმარტება აუცილებელი არ არის დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების გავლენის გასაგებად ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

როგორც მინიმუმი, შენიშვნებში თითოეული დაკავშირებული მხარის შესახებ უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

i) ოპერაციების მოცულობა (თანხა) და ხასიათი;

ii) დაუფარავი (გადავადებული) ნაშთების მოცულობა, ვალდებულებების ჩათვლით, და:
   - მათი დაფარვის ვადები და პირობები, მათ შორის უზრუნველყოფილია თუ არა ისინი, ასევე ანგარიშსწორების ფორმა; და
   - ინფორმაცია გაცემული ან მიღებული გარანტიების შესახებ;

iii) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებული საეჭვო ვალების ანარიცხები; და

iv) დაკავშირებული მხარეებიდან მისაღებ უიმედო ან საეჭვო ვალებთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებული ხარჯები.

   განმარტებები ცალ-ცალკე უნდა გაკეთდეს თითოეული შემდეგი კატეგორიისათვის:
   - სათავო სამეურნეო ერთეული;
   - სამეურნეო ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულზე;
   - შვილობილი კომპანიები;
   - მეკავშირე სამეურნეო ერთეულები;
   - ერთობლივი საქმიანობები, სადაც ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეული არის სრულუფლებიანი მონაწილე;
   - ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის ან მისი სათავო კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა; და
   - სხვა დაკავშირებული მხარეები.

უნდა დამტკიცდეს, რომ დაკავშირებულ მხარეებთან სამეურნეო ოპერაციები შესრულებულია იმ პირობების ეკვივალენტურად, რომელიც ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპისთვის“ არის დამახასიათებელი, თუკი შესაძლებელია ამგვარი პირობების დასაბუთება.

*ლ) პირობითი ვალდებულებები*

თუ სამეურნეო ერთეულიდან საანგარიშსწორებო თანხების გასვლის ალბათობა უმნიშვნელო არ არის, ანგარიშვალდებულმა სამეურნეო ერთეულმა კანონმდებლობით დადგენილი საბოლოო თარიღისთვის თითოეული კატეგორიის პირობითი ვალდებულებისთვის შენიშვნებში მოკლედ უნდა აღწეროს პირობითი ვალდებულების ხასიათი და, თუ შესაძლებელია:

i) მისი ფინანსური გავლენის შეფასება;

ii) უნდა მიუთითოს სამეურნეო ერთეულიდან გასაცემი ნებისმიერი თანხის სიდიდესთან ან ამ თანხის გასვლის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები; და

iii) მათი გადახდის ალბათობა.

*მ) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები*

შენიშვნებში უნდა გაშუქდეს ინფორმაცია ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენების შესახებ (მოვლენის არსი (ხასიათი) და მისი ფინანსური გავლენის შეფასება, ან უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ამგვარი შეფასების გაკეთება). ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი არამაკორექტირებლი მოვლენების მაგალითებია:

i) გრძელვადიანი ნასესხები სახსრები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია და არ არსებობს სესხის განახლების ან გადახდის რეალური პერსპექტივა;
ii) მნიშვნელოვანი ჩვეულებრივი იჯარა;
iii) გამოვლენილი არსებითი თაღლითობის ან შეცდომების ფაქტები, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ფინანსური ანგარიშგება მცდარია;
iv) ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ ის აპირებს სამეურნეო ერთეულის ლიკვიდაციას ან კომერციული საქმიანობის შეწყვეტას, ან მას არა აქვს რეალური ალტერნატივა, ასე რომ არ მოიქცეს;
v) მოთამაშეთა ტრანსფერის ოპერაციები, როდესაც გადასახდელი ან მისაღები თანხები მნიშვნელოვანია;
vi) უძრავ ქონებასთან, მაგალითად, კლუბის სტადიონთან დაკავშირებული ოპერაციები.

*ნ) სხვა განმარტებები*

i) აგენტების საკომისიო გადასახადები:
შენიშვნებში უნდა განიმარტოს აგენტისთვის გადახდილი ან აგენტის სასარგებლოდ გადახდილი მთლიანი თანხა.
ii) ფეხბურთელთა ეკონომიკური (ან მსგავსი) უფლებები:
თითოეული ფეხბურთელისთვის, რომლებზეც ლიცენზიის მაძიებელი მთლიანად არ ფლობს ეკონომიკურ უფლებებს, წარმოდგენილი უნდა იყოს ფეხბურთელის ვინაობა და ეკონომიკური ან მსგავსი უფლების პროცენტი, რომელსაც ლიცენზიის მაძიებელი ფლობდა პერიოდის დასაწყისში (ან რეგისტრაციის შეძენისას) და პერიოდის ბოლოს.
iii) საგადასახადო ხარჯი:
ცალ-ცალკე უნდა გაშუქდეს საგადასახადო ხარჯის შემადგენელი კომპონენტები. ე.ი. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრაში მონაწილე აგრეგირებული თანხა მიმდინარე და/ან გადავადებული გადასახადის.
iv) სხვადასხვა:

შენიშვნებში უნდა გაშუქდეს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან განმარტება, რაც არ აისახა უშუალოდ ბალანსში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ან ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, მაგრამ საჭიროა რომელიმე ზემოაღნიშნული ანგარიშგების გასაგებად, დ/ან მოითხოვება ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

## F - ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ფინანსური მიმოხილვა

1. წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას ან კომენტარებს (ზოგჯერ მას დირექტორების ანგარიშს უწოდებენ), სადაც აღწერილი და ახსნილი იქნება ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებები, ასევე მის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები.

2. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს ასევე იმ პირთა ვინაობა (სახელი და გვარი), ვინც იყვნენ ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ან დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საანგარიშგებო წლის მთელ პერიოდში.

# VI დანართი: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

## A - პრინციპი

1. ლიცენზიის მაძიებლის სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, 48-ე მუხლით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგება უნდა ეფუძნებოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილ საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებს, IFSR-ს ან მცირე და საშუალო სამეურნეო ერთეულებისთვის არსებულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

2. ფინანსური ანგარიშგებები უნდა მომზადდეს იმ დაშვებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი არის ფუნქციონირებადი სამეურნეო ერთეული, რაც გულისხმობს, რომ იგი გააგრძელებს საქმიანობას საპროგნოზო მომავალში. ივარაუდება, რომ ლიცენზიის მაძიებელს არ გააჩნია განზრახვა და მოთხოვნილება დაიწყოს ლიკვიდაცია, შეწყვიტოს სამეწარმეო საქმიანობა ან ეძიოს კრედიტორებისგან დაცვა.

3. ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლები, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებების მომზადების საფუძველს, უნდა შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს:

   ა) სამართლიანი წარდგენა;
   ბ) წარდგენის თანმიმდევრულობა;
   გ) დარიცხვის მეთოდი ბუღალტრულ აღრიცხვაში;
   დ) მსგავსი მუხლების ყველა არსებითი კლასის/კატეგორიის ცალ-ცალკე წარმოდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;
   ე) არ შეიძლება აქტივებისა და ვალდებულებების, ან შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების ურთიერთგადაფარვა.

4. წლიური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ, რაც დადასტურებული უნდა იყოს მოკლე ტექსტით და ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერით.

## B - კონსოლიდირების მოთხოვნები

ანგარიშგების პერიმეტრში შემავალ ყველა სამეურნეო ერთეულზე (როგორც ეს განსაზღვრულია 47-ე მუხლში) ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს კომბინირებულად ან კონსოლიდირებულად, თითქოს წარმოადგენენ ერთ კომპანიას.

## C - ფეხბურთელის რეგისტრაციის ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები

1. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიის ყოველი მაძიებელი ვალდებულია, მომზადოს წლიური ფინანსური ანგარიშგება კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილ საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების, IFRS-ის თუ მცირე და საშუალო სამეურნეო ერთეულებისთვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, წინამდებარე დებულებები მოიცავს ფეხბურთელის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სააღრიცხვო მოთხოვნებს, რომლებიც განეკუთვნებიან არამატერიალურ აქტივებს, როგორც ეს განსაზღვრულია 48-ე და 52-ე მუხლებში.

2. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია მოახდინოს ფეხბურთელების რეგისტრაციის მიღების ხარჯების კაპიტალიზაცია. ამასთან დაკავშირებით, მან უნდა:

   ა) გამოიყენოს წინამდებარე C ქვეთავის მე-3 პუნქტში აღწერილი გარკვეული მინიმალური სააღრიცხვო მოთხოვნები;
   ბ) მოამზადოს ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილი, როგორც ეს მოცემულია ამავე დანართის D ქვეთავში.

3. ქვემოთ აღწერილია ფეხბურთელის რეგისტრაციის გაყიდვასთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის მინიმალური მოთხოვნები:

   ა) თითოეული ინდივიდუალური ფეხბურთელის რეგისტრაციასთან მიმართებით, ამორტიზებადი ღირებულება სისტემატურ საფუძველზე უნდა განაწილდეს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამ მიზნით, აქტივის თვითღირებულება სისტემატურად ჩამოიწერება, როგორც ხარჯი, ფეხბურთელის კონტრაქტის ვადის განმავლობაში.

ბ) დასაშვებია მხოლოდ ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის პირდაპირი დანახარჯების კაპიტალიზაცია. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, არ უნდა აფასდეს რომელიმე ინდივიდუალური ფეხბურთელის საბალანსო ღირებულება მაშინაც კი, როდესაც ხელმძღვანელობა შესაძლოა დარწმუნებული იყოს, რომ მისი საბაზრო ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე მაღალია. გარდა ამისა, მართალია აღიარებულია, რომ ლიცენზიის მაძიებელმა შესაძლოა გარკვეული ღირებულება მიიღოს ადგილობრივად მომზადებული ფეხბურთელების გამოყენებიდან და/ან ტრანსფერიდან, მაგრამ ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, მაძიებლის საკუთარ ახალგაზრდულ სექტორთან დაკავშირებული დანახარჯები არ უნდა აისახოს ბალანსში — ვინაიდან უნდა მოხდეს მხოლოდ ფეხბურთელთა შეძენის თვითღირებულების კაპიტალიზაცია.

გ) ამორტიზაციის პროცესი უნდა დაიწყოს ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენიდან. ამორტიზაცია წყდება, როცა აქტივი კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული ან როცა აქტივის აღიარება შეწყდება (ე.ი. რეგისტრაცია გადაეცემა სხვა კლუბს), რომელიც უფრო ადრე მოხდება.

დ) გარდა ამისა, გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპი: ხელმძღვანელობა უნდა ატარებდეს ყველა კაპიტალიზებული ფეხბურთელის ღირებულების გაუფასურების მიმოხილვას ინდივიდუალურად, ყოველ წელს. თუ ამა თუ იმ ინდივიდუალური ფეხბურთელის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია ბალანსში ნაჩვენებ საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს აღდგენით ღირებულებამდე და შესწორების თანხა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც გაუფასურების ზარალი.

4. ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის მინიმალური მოთხოვნები ფეხბურთელების რეგისტრაციის გაყიდვასთან დაკავშირებით:

ა) მოგება-ზარალის უწყისში ასასახი მოგება/(ზარალი) სხვა კლუბისთვის ფეხბურთელის რეგისტრაციის მიყიდვიდან წარმოადგენს სხვაობას გაყიდვის შემოსავალსა და ბალანსში ტრანსფერის დღის შემდეგ ფეხბურთელის რეგისტრაციის ღირებულების გადმოტანილ ნაშთს შორის.

ბ) არანაირი შემოსავალი იმ ფეხბურთელთან დაკავშირებით, რომლის რეგისტრაციასაც ინარჩუნებს ლიცენზიის მაძიებელი, არ უნდა აისახოს მოგება-ზარალის უწყისში. ეჭვების გასაფანტად, ფეხბურთელის ეკონომიკური ან მსგავსი უფლებების სხვა მხარისთვის მიყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი უნდა იქნეს გადავადებული და შემოსავლად შეიძლება იქნეს აღიარებული მოგება-ზარალის უწყისში მხოლოდ სხვა კლუბისთვის ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივი ტრანსფერის განხორციელების შემდეგ.

5. ამას გარდა, თუ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციაში და, აგრეთვე, გამოყენებულ სააღრიცხვო მეთოდებში არ არის დაცული ამ დანართში აღწერილი სააღრიცხვო პრინციპები, მაშინ ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და ლიცენზიარს წარუდგინოს დამატებითი ინფორმაცია. ეს დამატებითი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ხელახლა ჩამოყალიბებულ საბუღალტრო ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას და ნებისმიერ თანდართულ შენიშვნებს, რომელბიც დააკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. იგი ასევე უნდა შეიცავდეს შენიშვნას (ან შენიშვნებს) დამატებით ინფორმაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობისა და საქართველოს კანომდებლობის მიხედვით მომზადებული აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების შედეგების შესაბამისობის შესახებ. ხელახლა ჩამოყალიბებული ფინანსური ინფორმაცია უნდა შემოწმდეს აუდიტორის მიერ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად.

## D - ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილი

1. როგორც ზემოთ C(2) პუნქტში იყო აღნიშნული, ლიცენზიის მაძიებლებმა, ვალდებულნი არიან რა მოახდინონ ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის ხარჯების კაპიტალიზაცია, უნდა მოამზადონ ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილი.

2. ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილი უნდა წარედგინოს აუდიტორს და, აგრეთვე, ლიცენზიარს.

3. ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილის შინაარსთან დაკავშირებული მინიმალური სავალდებულო მოთხოვნაა, რომ საანგარიშო პერიოდში თითოეული შესაბამისი ფეხბურთელის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:

ა) სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;
ბ) კონტრაქტის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;
გ) ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის პირდაპირი დანახარჯები;
დ) დაგროვილი ამორტიზაციის საწყისი (წინა წლიდან გადმოტანილი) და პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი;

ე) მოცემული პერიოდის ხარჯები/ამორტიზაცია;
ვ) მოცემული პერიოდის გაუფასურების ღირებულება;
ზ) გასვლა (თვითღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია);
თ) წმინდა სააღრიცხვო ღირებულება (საბალანსო ღირებულება); და
ი) ფეხბურთელის რეგისტრაციის გაყიდვიდან (გასვლიდან) მიღებული მოგება (ზარალი).

4. ამ ცხრილში მოითხოვება ინფორმაციის წარდგენა ყველა იმ ფეხბურთელის შესახებ, რომელთა რეგისტრაციასაც ფლობდა ლიცენზიის მაძიებელი საანგარიშგებო წლის განმავლობაში რომელიმე პერიოდში და ამ ფეხბურთელ(ებ)თან დაკავშირებით გაწეული იყო გარკვეული პირდაპირი შეძენის დანახარჯები (მოცემული პერიოდის მანძილზე რომელიმე მომენტში ან წინა პერიოდებში).

5. ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილის შემდეგი აგრეგირებული მონაცემები შეჯერებული უნდა იყოს აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების ბალანსისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების შესაფერის მონაცემებთან:

ა) ფეხბურთელთა რეგისტრაციების მიმდინარე პერიოდის ამორტიზაციების აგრეგირებული თანხა, რომელიც ნაჩვენებია ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილში, უნდა შეესაბამებოდეს „ფეხბურთელთა რეგისტრაციების ამორტიზაციის" მუხლს (რომელიც ასახულია უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ან მასზე დართულ რომელიმე შენიშვნაში);
ბ) მიმდინარე პერიოდში შექმნილი გაუფასურების ანარიცხების აგრეგირებული თანხა, რომელიც ნაჩვენებია ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილში, უნდა შეესაბამებოდეს „ფეხბურთელთა რეგისტრაციების გაუფასურების" პოზიციას (რომელიც ასახულია უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ან მასზე დართულ რომელიმე შენიშვნაში);
გ) ფეხბურთელთა რეგისტრაციების გაყიდვიდან წარმოქმნილი მოგების/(ზარალის) აგრეგირებული თანხა, რომელიც ნაჩვენებია ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილში, უნდა შეესაბამებოდეს მუხლს - „მოგება/(ზარალი) ფეხბურთელთა რეგისტრაციების გაყიდვიდან" (რომელიც ასახულია უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ან მასზე დართულ რომელიმე შენიშვნაში);

დ) ფეხბურთელთა რეგისტრაციების საბალანსო ღირებულების აგრეგირებული თანხა, რომელიც ნაჩვენებია ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილში უნდა შეესაბამებოდეს მუხლს - ,,არამატერიალური აქტივები – ფეხბურთელების“ (რომელიც ასახულია უშუალოდ პერიოდის ბოლოს შედგენილ ბალანსში ან მასზე დართულ რომელიმე შენიშვნაში).

6. თუ ლიცენზიის მაძიებლებმა შეცვალეს ფეხბურთელებთან დაკავშირებული მონაცემები, რათა დაეკმაყოფილებინათ წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული ლიცენზირების კრიტერიუმების მოთხოვნები, მაშინ ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილის მონაცემები უნდა ედრებოდეს დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილ შეცვლილ მონაცემებს.

# VII დანართი: „ვადაგადაცილებული ვალდებულების" ცნება

## A - პრინციპი

1. კრედიტორული დავალიანება ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, თუ მისი გადახდა არ მოხდა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადებში.

2. კრედიტორული დავალიანება არ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად წინამდებარე მარეგულირებელი წესების მიზნებისთვის, თუ ლიცენზიის მაძიებელს (ე.ი. დებიტორ კლუბს) შეუძლია დაასაბუთოს, რომ 31 მარტისთვის (49-ე და 50-ე მუხლებთან მიმართებით):

   ა) ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა სრულად გადაიხადა; ან

   ბ) მას დადებული აქვს წერილობითი შეთანხმება კრედიტორთან, ზემოაღნიშნული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელების შესახებ, მისაღები საბოლოო ვადის ფარგლებში. (შენიშვნა: ის ფაქტი, რომ კრედიტორს არ მოუთხოვია დავალიანების გადახდა, არ მიიჩნევა დავალიანების გადახდის ვადის გაგრძელებად); ან

   გ) ამ ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან დაკავშირებით, ლიცენზიის მაძიებელს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აღძრული აქვს საქმე სათანადო უფლებამოსილ ორგანოში, ან ფეხბურთის ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოებში, ან სათანადო საარბიტრაჟო სასამართლოში; თუმცა, თუ ლიცენზიარის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები მიიჩნევს, რომ ამგვარი სარჩელი ან სასამართლო საქმე მხოლოდ მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული საბოლოო ვადებისთვის თავის არიდების მიზნით არის შეტანილი ან აღძრული (ე.ი. „დროის მოსაგებად"), კრედიტორული დავალიანების შესაბამისი თანხა მაინც ვადაგადაცილებულ დავალიანებად მიიჩნევა; ან

   დ) ლიცენზიის მაძიებელს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოში, ეროვნულ ან საერთაშორისო ფეხბურთის ორგანოებში ან შესაბამის არბიტრაჟში საპასუხო სარჩელი აქვს შეტანილი ან სასამართლო საქმე აქვს აღძრული კრედიტორის წინააღმდეგ, რომელმაც ვადაგადაცილებულ კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი ან აღძრა საქმე და შეუძლია ლიცენზიარის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს დაუსაბუთოს, რომ ჩამოყალიბებული აქვს საპასუხო სარჩელის მიზეზები; თუმცა, თუ **სფფ**-ის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები საპასუხო სარჩელის შეტანის მიზეზებს მიიჩნევენ აშკარად უსაფუძვლოდ, თანხა ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.

# VIII დანართი: ლიცენზიარის მიერ ჩასატარებელი პროცედურები ფინანსური კრიტერიუმებისა და მოთხოვნებისადმი

## A - პრინციპი

მე-9 მუხლში დადგენილი ფინანსური კრიტერიუმების შესრულების შემოწმების პროცედურები მოიცავს შემოწმების სფეციფიკურ ბიჯებს, რომელიც უნდა განხორციელდეს ლიცენზიარის მიერ იმგვარად, როგორც ქვემოთაა ჩამოყალიბებული.

## B - წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის შეფასება

1. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ლიცენზიარმა უნდა ჩაატაროს შეფასების შემდეგი მინიმალური პროცედურები:

   ა) შეაფასოს, შერჩეული ანგარიშმგებელი ერთეულ(ებ)ი მისაღებია თუ არა საკლუბო ლიცენზირების პროცესისთვის;
   ბ) შეაფასოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია (წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ასევე შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას), რათა ჩამოაყალიბოს სალიცენზიო გადაწყვეტილების საფუძველი.
   გ) წაიკითხოს და განიხილოს წლიური ფინანსური ანგარიშგება და აუდტორის დასკვნა მის შესახებ;
   დ) ყურადღება გაამახვილოს აუდიტორული დასკვნის და/ან შემოწმების მოდიფიკაციებზე (შეადაროს იგი უპირობო აუდიტორული დასკვნის სტანდარტულ ფორმას) და/ან შეუდაროს ნაკლოვანებები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის ასახვისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, ქვემოთ მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. გაეცნობა რა ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას, ლიცენზიარმა უნდა შეაფასოს ის შემდეგი პოზიციიდან:

   ა) თუ აუდიტორის დასკვნას უპირობო მოსაზრება აქვს ყოველგვარი მოდიფიკაციის გარეშე, ეს ქმნის დამაკმაყოფილებელ საფუძველს უეფა-ს ლიცენზიის გასაცემად.

ბ) თუ აუდიტორის დასკვნაში აუდიტორი უარს აცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე ან მისი მოსაზრება უარყოფითია, **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ შემდგომში ისეთი დასკვნა არ იქნება წარმოდგენილი (იმავე ფინანსური წლის სხვა ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს), სადაც აუდიტორული მოსაზრება არ არის უარყოფითი ან აუდიტორი უარს არ აცხადებს თავისი მოსაზრების გამოთქმაზე და ლიცენზიარი არ დაკმაყოფილდება შემდგომი აუდიტორული მოსაზრებით.

გ) თუ ფუნქციონირებადი სამეურნეო ერთეულის დაშვებასთან დაკავშირებით აუდიტორის დასკვნას მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი დაერთვის ან კვალიფიციური „გარდა" მოსაზრება, **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ:

   i. იმავე ფინანსურ წელთან დაკავშირებული შემდგომი აუდიტორული მოსაზრება თავისუფალი არ იქნება ფუნქციონირებადი სამეურნეო ერთეულის დაშვებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ან პირობითობისგან; ან

   ii. წარმოდგენილი არ იქნება დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად სამეურნეო ერთეულს, სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დამთავრებამდე მაინც და ამ მტკიცებულებებს დამაკმაყოფილებლად არ შეაფასებს ლიცენზიარი. დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები მოიცავს 52-ე მუხლში (მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია) აღწერილ ინფორმაციას, მაგრამ არ არის აუცილებელი, შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ამ ინფორმაციით.

დ) თუ ფუნქციონირებადი სამეურნეო ერთეულის დაშვების გარდა რომელიმე სხვა საკითხთან დაკავშირებით აუდიტორის დასკვნას მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი დაერთვის ან კვალიფიციური „გარდა" მოსაზრება აქვს გამოხატული, მაშინ ლიცენზიარმა უნდა განიხილოს დასკვნის მოდიფიცირების გავლენა საკლუბო ლიცენზირების მიზნების გათვალისწინებით. **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ წარმოდგენილი არ იქნება დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები და ამ მტკიცებულებებს დამაკმაყოფილებლად არ შეაფასებს ლიცენზიარი. დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლის მოთხოვნა შეუძლია ლიცენზიარს, დამოკიდებული იქნება აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების მიზეზზე.

ე) თუ აუდიტორის ანგარიშში მიეთითება 51-ე მუხლის მე-4 პარაგრაფში განსაზღვრული რაიმე სიტუაცია, ლიცენზიაზე უარი უნდა ითქვას.

3. თუ ლიცენზიის მაძიებელი წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, ლიცენზიარმა დამატებით უნდა შეაფასოს ამ დამატებით ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებულ შეთანხმებულ პროცედურებზე გაცემული აუდიტორის დასკვნა. თუ მასში მითითებულია გამოვლენილი შეცდომები და/ან გადახრები, შეიძლება უარი ითქვას სეფა-ს ლიცენზიის გაცემაზე.

## C - სხვა კლუბებისთვის ვადაგადაცილებული ვალდებულების შეფასება

1. სხვა კლუბების მიმართ ვადაგადაცილებული ვალდებულების შეფასების მიზნით, დამოუკიდებელმა აუდიტორმა უნდა ჩაატაროს შეფასების პროცედურები ქვემოთ, მე-2 პუნქტის შესაბამისად. ლიცენზიარმა უნდა განიხილოს აუდიტორის დასკვნა და, კერძოდ, რომ აუდიტორის მიერ შერჩევის ერთეულები დამაკმაყოფილებელია და ჩაატაროს შეფასების დამატებითი პროცედურები, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ, მაგალითად, გაზარდოს შერჩევის ერთეულების რაოდენობა და/ან ლიცენზიის მაძიებლისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტური დადასტურებების წარმოდგენა.

2. აუდიტორმა უნდა შეაფასოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და, კერძოდ, ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილი და თანდართული დოკუმენტაცია, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ და გაიაროს, მინიმუმ, შემდეგი ბიჯები:

ა) სატრანსფერო ვალდებულეების ცხრილში ჯამური თანხის შეჯერება 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების" თანხასთან.

ბ) სატრანსფერო ვალდებულების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება.

გ) ყველ ან გარკვეული რაოდენობის ფეხბურთელების ტრანსფერის/იჯარის მაგალითების შერჩევა, შესაბამისი ხელშეკრულებების შედარება სატრანსფერო ვალდებულების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული ტრანსფერების/იჯარის გაშუქება.

დ) ტრანსფერის ყველა გადახდის ან შერჩევითი შემოწმება, რაც მოიცავს მათ შედარებას სატრანსფერო ვალდებულების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული გადახდების საკვანძო ფაქტების გამოყოფას.

ე) თუ, სატრანსფერო ვალდებულების ცხრილის შესაბამისად, 31 მარტის მდგომარეობით არის გადახდის ვალდებულება, რომელიც ეხება გასული წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებულ ტრანსფერს, უნდა გაირკვეს, 31 მარტამდე:

i. მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ, VII(2.ბ) დანართის შესაბამისად; ან
ii. ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი, VII(2.გ ან დ) დანართის შესაბამისად.

ვ) გადახდასთან დაკავშირებული ყველა ან შერჩევითი საბანკო გადახდის შესწავლა.

ზ) საჭიროების შემთხვევაში: ზემოთა ე(i) და/ან ე(ii) პუნქტის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის, შესაბამის ფეხბურთის კლუბ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის და/ან კომპეტენტურ ორგანოსთან კორესპონდენციის მიღება და შემოწმება.

## D - თანამშრომლებისა და საგადასახადო ორგანოებისადმი ვადაგადაცილებული ვალდებულების შეფასება

1. თანამშრომლებისა და საგადასახადო ორგანოების მიმართ ვადაგადაცილებული ვალდებულებების შეფასების მიზნით, დამოუკიდებელმა აუდიტორმა უნდა ჩაატაროს შეფასების პროცედურები ქვემოთ, მე-2 პუნქტის შესაბამისად. ლიცენზიარმა უნდა განიხილოს აუდიტორის დასკვნა და, კერძოდ, რომ აუდიტორის მიერ შერჩევის ერთეულები დამაკმაყოფილებელია და ჩაატაროს შეფასების დამატებითი პროცედურები, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ, მაგალითად, გაზარდოს შერჩევის ერთეულების რაოდენობა და/ან ლიცენზიის მაძიებლისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტური დადასტურებების წარმოდგენა.

2. აუდიტორმა უნდა შეაფასოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და, კერძოდ, თანამშრომელთა სია და თანდართული დოკუმენტაცია, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ და გაიაროს, მინიმუმ, შემდეგი ბიჯები:

ა) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა სიის მიღება.

ბ) თანამშრომელთა სიაში ჯამური თანხის შეჯერება 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური ფინანსური ანგარიშგების „თანამშრომლებთან დაკავშირებულ ვალდებულების" თანხასთან.

გ) ყველა ან შემთხვევით შერჩეული თანამშრომლების წერილობითი დადასტურებების მიღება, შემოწმება და შედარება თანამშრომელთა სიაში მოცემულ ინფორმაციასთან.

დ) თუ, აუდიტორი თვლის, რომ 31 მარტის მდგომარეობით არის გადასახდელი თანხა, რომელიც ეხება გასული წლის 31 დეკემბრამდე წარმოქმნილ ვალდებულებებს თანამშრომლების ხელშეკრულებებიდან და გაფორმებული იურიდიული ვალდებულებებიდან, უნდა გაირკვეს, 31 მარტამდე:

i. მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ, VII(2.ბ) დანართის შესაბამისად; ან
ii. ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი, VII(2.გ ან დ) დანართის შესაბამისად.

ე) საჭიროების შემთხვევაში: გადახდების დამადასტურებელი ყველა ან შერჩევითი საბანკო დოკუმენტების მიღება და შემოწმება.
ვ) საჭიროების შემთხვევაში: ზემოთა დ(i) და/ან დ(ii) პუნქტის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის, შესაბამის თანამშრომლებთან ხელშეკრულებების და/ან კომპეტენტურ ორგანოებთან კორესპონდენციის მიღება და შემოწმება.

3. აუდიტორმა უნდა შეაფასოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, კერძოდ, საგადასახადო შედარების ცხრილი და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ქვემოთ მითითების შესაბამისად:

ა) შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მიერ დამტკიცებული საგადასახადო შედარების ცხრილის მიღება.

ბ) საგადასახადო შედარების ცხრილში ჯამური გადასახდელი თანხის შეჯერება 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური ფინანსური ანგარიშგების „საგადასახადოს მიმართ ვალდებულების“ თანხასთან.

გ) შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება.
დ) თუ 31 მარტის მდგომარეობით არსებობს გადასახადი, რომელიც ეხება თანამშრომლების მიმართ საკონტრაქტო და სამართლებრივ ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახადებს საგადასახადო ორგანოების მიმართ, რომლებიც წარმოიქმნა გასული წლის 31 დეკემბრამდე, უნდა გაირკვეს, 31 მარტამდე:
i. მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადასახადის გადავადების შესახებ, VII(2.ბ) დანართის შესაბამისად; ან
ii. ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი, VII(2.გ ან დ) დანართის შესაბამისად.

ე) ყველა ან შერჩევითი საბანკო გადახდების დადასტურებების შემოწმება.
ვ) საჭიროების შემთხვევაში: ზემოთა დ(i) და/ან დ(ii) პუნქტის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის, შესაბამის საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების და/ან კომპეტენტურ ორგანოებთან კორესპონდენციის მიღება და შემოწმება.

## E - ხელმძღვანელობის წერილობითი მომართვის შეფასება

1. ხელმძღვანელობის წერილობით მომართვასთან დაკავშირებით, ლიცენზიარმა უნდა წაიკითხოს და განიხილოს ლიცენზირების კრიტერიუმებთან დაკავშირებით მომხდარი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების ზეგავლენა.

2. ლიცენზიარმა ასევე უნდა წაიკითხოს და განიხილოს ინფორმაცია დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის ნებისმიერი მოვლენის შესახებ, ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მოსალოდნელი ფინანსურ ინფორმაციასთან და სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად.

3. ლიცენზიარმა უნდა შეაფასოს კლუბის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა სამეურნეო ერთეულმა, სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე. **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, ლიცენზიარს მიაჩნია, რომ ლიცენზიის მაძიებელი ვერ შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა სამეურნეო ერთეულმა სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დამთავრებამდე.

4. თუ ლიცენზიის მაძიებელი (ან **სფფ**-ის რეგისტრირებული წევრი, რომელსაც, მე-11 მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო ურთიერთობა აქვს ლიცენზიის მაძიებელთან) ან ანგარიშგების პერიმეტრში ჩართული ლიცენზიის მაძიებლის ნებისმიერი მშობელი კომპანია თხოულობს/ითხოვდა ან მიიღო დაცვა/ჯერაც იცავს თავს კრედიტორებისგან კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად (საკუთარი ნებით თუ სავალდებულო წესით) სალიცენზიო სეზონის წინ 12 თვის განმავლობაში, ლიცენზიაზე უარი უნდა ეთქვას. ეჭვების გასაფანტად, ლიცენზიაზე უარი ეთქმის იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამეურნეო ერთეული აღარ იღებს დაცვას კრედიტორებისგან სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

## F - მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაციის შეფასება

1. შეფასების პროცედურები, რომელიც უნდა ჩაატაროს აუდიტორმა, უნდა მოიცავდეს, მინიმუმ:

   ა) მოსალოდნელი ფინანსურ ინფორმაციაში წარმოდგენილი გაანგარიშებების არითმეტიკულ შემოწმებას;
   ბ) ხელმძღვანელობასთან ერთად საკითხების განხილვისა და მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის საფუძველზე იმის დადგენას, მომზადებული იყო თუ არა მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში აღწერილი დაშვებებისა და რისკების გათვალისწინებით;
   გ) იმის შემოწმებას, შეესაბამება თუ არა მოსალოდნელი ფინანსურ ინფორმაციაში ასახული საწყისი ნაშთები უშუალოდ წინა პერიოდის აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ ბუღალტრული ბალანსის მონაცემებს; და
   დ) იმის შემოწმებას, არის თუ არა მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მაძიებლის აღმასრულებელი ორგანოს მიერ.

ე) საჭიროების შემთხვევაში: შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლა, მაგალითად, სასპონსორო ხელშეკრულებები, საბანკო ხელშეკრულებები, კაპიტალის გაზრდა, საბანკო გარანტიები და დამფუძნებელთა/პარტნიორთა ოქმები.

2. აუდიტორმა უნდა შეაფასოს კლუბის შესაძლებლობა, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა სამეურნეო ერთეულმა, სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე. ლიცენზიარმა უნდა განიხილოს აუდიტორის დასკვნა. მან შეიძლება ჩაატაროს შეფასების დამატებითი პროცედურები, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ და/ან ლიცენზიის მაძიებლისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტური დადასტურებების წარმოდგენა. ლიცენზიარი ასევე აფასებს კლუბის შესაძლებლობას, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა სამეურნეო ერთეულმა, სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე

3. **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, ლიცენზიარს მიაჩნია, რომ ლიცენზიის მაძიებელი ვერ შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა სამეურნეო ერთეულმა სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დამთავრებამდე).

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**
საკლუბო ლიცენზირებისა და
მონიტორინგის ადმინისტრაცია
ქ. თბილისი, 0179. ჭავჭავაძის 76ა.
ტელ./ფაქსი: +995 32 291 291 0
www.gff.ge
lu@gff.ge